საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 19 (563) შაბათი, 30 იანვარი, 1993 წელი ფასი 3 მანეთი

მხარდაჭერა და თანადგომა

დიდი ბრიტანეთის ელჩი თბილისში

29 იანვარს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, სახელმწიფოს მეთაურმა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო დიდი ბრიტანეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რუსეთსა და საქართველოში, ბატონი ბრაიან ფოლი, რომელმაც ინგლისის პრემიერ-მინისტრის ჯონ მეიჯერისა და საგარეო საქმეთა მინისტრის დუგლას ჰერდის სახელით გულთბილი მოკითხვა და საუკეთესო სურვილები გადასცა საქართველოს ხელმძღვანელს.

გაიმართა საუბარი, რომლის დროს მხარეებმა საფუძვლიანად განიხილეს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების შემდგომი გაუმჯობესების პერსპექტივები, აგრეთვე, რეგიონში არსებული მდგომარეობა და მისი სტაბილიზაციის შესაძლებლობები.

საქართველოს, — ითქვა შეხვედრაზე, — ამ მხრივ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან, მასზე გადის არა მარტო კავკასიისათვის სასიცოცხლო მაგისტრალები, არამედ აქ თავს იყრის მთლიანად ამ რთული რეგიონისათვის დამახასიათებელი, ზოგჯერ წინააღმდეგობრივი პრობლემების მთელი კვანძი. მათი გადაჭრით სისხლხორცეულად არიან დაინტერესებულნი, როგორც ახლომდებარე ქვეყნები, ასევე ევროპაც, მთელი მსოფლიო.

ამ თვალსაზრისით, შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა იმ დადებით იმპულსებზე, რომლებიც შეიმჩნევა რეგიონში საქართველოს საგარეო პოლიტიკის გააქტიურების შედეგად. აღინიშნა, რომ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ვიზიტი მეზობელი აზერბაიჯანის რესპუბლიკაში, რომელიც მომავალ კვირას არის დაგეგმილი, ამ პროცესს კიდევ უფრო მიზანსწრაფულს გახდის.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა მაღალი შეფასება მისცა იმ მხარდაჭერასა და მორალურ თანადგომას, რასაც დიდი ბრიტანეთი იჩენს ჩვენი ქვეყნის მიმართ, რომელიც მყარად დაადგა დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის კურსს. ჩვენი ქვეყნები კვლავაც ინტენსიურად განაგრძობენ თანამშრომლობას სხვადასხვა სფეროში, აღნიშნა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ, რაც უახლოეს ხანში მრავლისმომცველი, ურთიერთხელსაყრელი ორმხრივი ხელშეკრულებით განმტკიცდება.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივნო.

* * *

სურათზე: საუბრის დროს.

გივი კიკვაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

აზერბაიჯანში ედუარდ შევარდნაძის ვიზიტის გამო

3-4 თებერვალს დასახულია საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის ოფიციალური ვიზიტი აზერბაიჯანში. ვიზიტის მოსამზადებლად ბაქოში გაემგზავრა საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა და ზოგიერთი სამინისტროსა და უწყების ხელმძღვანელთა ჯგუფი.

— ჩვენმა სამინისტრომ რესპუბლიკის ყველა მთავარ სამინისტროსთან ერთად მოამზადა დოკუმენტების პაკეტი, რომლებიც ფაქტობრივად არეგულირებს ორი მეზობელი ქვეყნის ურთიერთობას, — უთხრა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ჩიკვაიძემ საქინფორმის კორესპონდენტს იური გოლდმანს. — გათვალისწინებულია საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის მეგობრობისა და ურთიერთდახმარების, კეთილმეზობლობის ყოვლისმომცველი შეთანხმების ხელმოწერა.

ხელმოწერილი იქნება დოკუმენტი ხანგრძლივი პერიოდისათვის, აგრეთვე 1993 წლისათვის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის შესახებ. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს იმისათვის, რომ გაწონასწორდეს აზერბაიჯანთან ჩვენი ურთიერთობა ამ მიმართულებით. ნავარაუდევია აგრეთვე შეთანხმებათა ხელმოწერა კულტურის, განათლების სფეროში, აგრეთვე დაიდება საბაჟო შეთანხმება. იმის გამო, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ჯერ არ არის მიღებული მოქალაქეობის კანონი, აზერბაიჯანთან ჩვენს ურთიერთობას მოვაგვარებთ შეთანხმებათა დახმარებით, რომლებიც ითვალისწინებენ მოქალაქეთა თავისუფალ გადაადგილებას ორივე ქვეყანაში, უვიზო გაცვლას. მომზადებულია ოთხი სატრანსპორტო შეთანხმება: საჰაერო, სახმელეთო, საზღვაო და სარკინიგზო.

მომზადებულია 20-ზე მეტი სხვადასხვა შეთანხმება. სახელმწიფოს მეთაურის ვიზიტის მოსამზადებელმა ჯგუფმა ისინი საბოლოოდ უნდა დაამუშაოს აზერბაიჯანელ კოლეგებთან ერთად. ვიზიტი გაიმართება აზერბაიჯანის პრეზიდენტის ბატონ ელჩიბეის ინიციატივით, რომელმაც ამ ქვეყანაში მიიწვია ბატონი ედუარდ შევარდნაძე. ჩემი აზრით, მომავალი ვიზიტი დაგვეხმარება არა მარტო განვსაზღვროთ ჩვენი ქვეყნების ორმხრივი ურთიერთობა, არამედ მოლაპარაკების დროს გადავწყვიტოთ მთელი რიგი საკითხებიც, რომლებიც დამუშავებული იყო ირანში. მე მხედველობაში მაქვს თეირანში მიღწეული შეთანხმება ირანიდან საქართველოსათვის ორი მილიონი კუბური მეტრი გაზის მოწოდების შესახებ, რომელმაც აზერბაიჯანის ტერიტორია უნდა გამოიაროს. ხელმოწერილი იქნება მთელი რიგი დოკუმენტები, რომელთა დახმარებით შეიძლება საქართველოში ირანის გაზის მოწოდების რეგულირება.

მინდა აღვნიშნო, რომ საქართველოსა და აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტროები უაღრესად მჭიდრო კონტაქტით მუშაობენ. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, აზერბაიჯანის ფართო საზოგადოებრიობა კარგად არის განწყობილი საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის მომავალი ვიზიტისადმი, ჩვენს ქვეყანასთან კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარებისადმი. იმედი მაქვს, რომ ედუარდ შევარდნაძის ოფიციალური ვიზიტი ხელს შეუწყობს მომავალში აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს მეთაურთა შეხვედრას, რადგან უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ჩვენს რეგიონში ეს სამი დამოუკიდებელი სახელმწიფო ხელიხელჩაკიდებული მუშაობდეს და ერთად წყვეტდეს ყველა იმ პრობლემას, რომლებიც ჩვენს რეგიონს აღელვებს.

უკანონო ხელშეკრულება

საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება

დნესტრისპირეთსა და აფხაზეთს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების ხელმოწერის გამო საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო უფლებამოსილია განაცხადოს: ზემოხსენებული „დოკუმენტი" მთლიანად ეწინააღმდეგება საერთაშორისო და ეროვნული სამართლის პრინციპებს, ხელმოწერილია მხარეთა მიერ, რომლებიც არ წარმოადგენენ საერთაშორისო ურთიერთობის სუბიექტებს, და შესაბამისად არა აქვს არავითარი იურიდიული ძალა.

იგი შეთითხნეს პირებმა, რომლებსაც თავიანთი პირადი, პოლიტიკური ამბიციებისა და სხვა ინტერესებისათვის უაზრო სისხლიან სასაკლაოზე მიჰყავთ თანამემამულეები, უხეშად თელავენ ფეხქვეშ ზნეობის ყველა ნორმას, ანგარიშს არ უწევენ მსხვერპლთა და თავიანთივე საკუთარი ხალხების ჭეშმარიტ სურვილს.

თავად „ტირასპოლის მორიგების" შექმნის ფაქტი, რომელიც ამავე დროს ერთმანეთის სამხედრო დახმარებასაც ითვალისწინებს, ავანტიურისტული აქტია.

საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ ეროვნებათაშორისი შუღლის გაღვივების შედეგებისათვის პასუხისმგებლობა მთლიანად ეკისრებათ „ხელშეკრულების" ავტორებს, რომლებმაც ძმათამკვლელი ომი წამოიწყეს.

ეგრეთ წოდებული ხელშეკრულება უხეშად ხელყოფს ორი სუვერენული სახელმწიფოს — მოლდოვეთის რესპუბლიკისა და საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიულ მთლიანობას და არღვევს გაეროს წესდების და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის აქტების ძირითად დებულებებს.

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს

დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში წვევამდელთა და რეზერვისტთა გაწვევის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭო აღნიშნავს, რომ საქართველოს რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში წვევამდელთა და რეზერვისტთა გაწვევა შეიარაღებული ძალების რიგებში არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. 1993 წლის 1 იანვრისათვის გასაწვევად გამოძახებულ წვევამდელთაგან გაწვეულია მხოლოდ 21 პროცენტი, ხოლო რეზერვისტთაგან — 14 პროცენტი, რაც მნიშვნელოვნად ასუსტებს სამხედრო შენაერთებისა და ნაწილების ბრძოლისუნარიანობას და აქვეითებს მათ საბრძოლო მზადყოფნას.

მიუხედავად რესპუბლიკაში შექმნილი საომარი მდგომარეობისა, ბევრ ქალაქსა და რაიონში დაბალია სამხედრო-სააღრიცხვო და საშემსრულებლო დისციპლინა, საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს ადგილობრივი სამხედრო მმართველობის ორგანოებმა, რაიონებისა და ქალაქების გამგეობებმა, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და რესპუბლიკის პროკურატურის შესაბამისმა სამმართველოებმა და განყოფილებებმა, ვერ უზრუნველყვეს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს 1992 წლის 9 ნოემბრის №9 დადგენილების შესრულება. განსაკუთრებით არაორგანიზებულად მიმდინარეობს საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების რიგებში წვევამდელთა და რეზერვისტთა გაწვევა ქუთაისში, რუსთავში, აგრეთვე, თბილისის, ზესტაფონის, ოზურგეთის, ახალციხის, ჭიათურის, გორის, ხაშურის, გურჯაანისა და წყალტუბოს რაიონებში.

რესპუბლიკაში უკიდურესად დაბალ დონეზეა სამხედრო-პატრიოტული და აღმზრდელობითი მუშაობა, რის გამოც, წვევამდელთა და რეზერვისტთა მნიშვნელოვანი ნაწილი თავს არიდებს შეიარაღებული ძალების რიგებში სამსახურს. ამასთან, საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრო, სამხედრო შენაერთებისა და ნაწილების ხელმძღვანელები, სათანადოდ ვერ უზრუნველყოფენ გაწვეულთა დროულად მიღებას, დაბინავებას, ეკიპირებას, კვებასა და სამედიცინო მომსახურებას.

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭო **ადგენს:**

1. საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრომ, ადგილობრივი სამხედრო ორგანოების სამმართველომ, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სამხედრო განყოფილებებმა უზრუნველყონ წვევამდელთა და რეზერვისტთა გაწვევის ორგანიზებულად ჩატარება, მიიღონ გადამჭრელი ზომები დავალების შესასრულებლად.

2. საქართველოს რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების გამგეობების თავმჯდომარეებმა:

ქმედითი დახმარება გაუწიონ სამხედრო განყოფილებებს წვევამდელთა და რეზერვისტთა გაწვევის ორგანიზებაში;

მკაცრი ზომები მიიღონ საყოველთაო სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდისაგან თავის არიდების შემთხვევების თავიდან ასაცილებლად;

უზრუნველყონ სამხედრო სამსახურში წვევამდელთა და რეზერვისტთა გაწვევასთან დაკავშირებით მიღებული დავალების შესრულება.

გაფრთხილებულ იქნენ რაიონებისა და ქალაქების გამგეობების თავმჯდომარეები, რომ მიღებული დავალების დროულად და მთლიანად შეუსრულებლობის შემთხვევაში, დასმული იქნება საკითხი მათი დაკავებული თანამდებობიდან მოხსნის შესახებ.

3. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა მოსწავლე ახალგაზრდობის შეიარაღებულ ძალებში სამსახურისათვის უკეთ მომზადების მიზნით, განიხილოს რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, პროფესიულ-ტექნიკურ და საშუალო-სპეციალურ სასწავლებლებში მოსწავლეთა დაწყებითი სამხედრო მომზადების, როგორც სახელმწიფო საგნისა და მოსწავლე ახალგაზრდობის სამშობლოს დაცვისათვის მომზადების სისტემის შემადგენელი ნაწილის, აღდგენისა და მისი შემდგომი სრულყოფის საკითხი; მიღებული გადაწყვეტილება ორი კვირის ვადაში მოახსენოს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს.

4. საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრომ, სამხედრო შენაერთებისა და ნაწილების ხელმძღვანელებმა განახორციელონ შესაბამისი ღონისძიებები გაწვეულთა განთავსების, საჭირო საყაზარმო ფონდის დროული მომზადების, ეკიპირებით, კვებითა და სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფისათვის და გაწეული მუშაობის შედეგები მოახსენონ ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს 1993 წლის 20 თებერვლამდე.

5. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს მოამზადოს რესპუბლიკური თათბირი საქართველოს ერთიანი შეიარაღებული ძალების მშენებლობის საკითხებზე, შეიმუშაოს და 1993 წლის 15 თებერვლამდე წარმოუდგინოს ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს:

ა) რესპუბლიკური თათბირის ჩატარების გეგმა;
ბ) თათბირის გადაწყვეტილების პროექტი;
გ) საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო აღმშენებლობის პროგრამის პროექტი.

6. საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურამ, შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროებმა, ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივმა სამართალდაცვის ორგანოებმა, უმოკლეს ვადაში მიიღონ კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა წვევამდელთა და რეზერვისტთა მიერ სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან თავის არიდების, დანაშაულის გამოძიებისა და სასამართლოში საქმეთა დროული წარმართვისათვის.

7. საქართველოს რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა, ტელერადიოკორპორაციამ, მეტი ყურადღება დაუთმონ სამხედრო აღმშენებლობისა და საქართველოს რესპუბლიკის საყოველთაო სამხედრო ვალდებულების კანონის პროპაგანდას, სისტემატურად გააშუქონ რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების რიგებში წვევამდელთა და რეზერვისტთა გაწვევის მიმდინარეობა.

ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდის გაუმჯობესების მიზნით, მიზანშეწონილად ჩაითვალოს საქართველოს ტელერადიოკორპორაციაში სამხედრო გადაცემათა რედაქციის შექმნა.

8. საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს კადრების სამმართველომ მიიღოს გადამჭრელი ზომები და 1993 წლის 1 მარტამდე დააკომპლექტოს ქალაქებისა და რაიონების სამხედრო განყოფილებები ოფიცერთა შემადგენლობით ახალი საშტატო განრიგის შესაბამისად.

9. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა განიხილოს საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს ადგილობრივი სამხედრო მმართველობის ორგანოების სამმართველოსათვის საჭირო რაოდენობის ავტომანქანების გამოყოფის საკითხი.

10. დაევალოს ქალაქ თბილისის მერიას, ვაკისა და მთაწმინდის რაიონების გამგეობებს საგაზაფხულო გაწვევამდე უზრუნველყონ ამ რაიონების სამხედრო განყოფილებები შესაბამისი შენობებით.

11. ამ დადგენილების შესრულების კონტროლი დაეკისროს საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს.

სახელმწიფოს მეთაური, ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე

ე. შევარდნაძე.

თბილისი, 1993 წლის 28 იანვარი.

წუხელ შევიტყვეთ

ცნობები აფხაზეთიდან

როგორც აფხაზეთში განლაგებული საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარი შტაბის პრესცენტრიდან გვაცნობეს, 28 იანვარს 17 საათზე მოწინააღმდეგემ შემოუტია ოჩამჩირის რაიონის საზღვარზე, გალის რაიონის სოფელ ჩხორთოლს. ჩვენმა მეომრებმა მოიგერიეს შემოტევა და მოწინააღმდეგე უკუაგდეს დიდი დანაკარგებით. ჩვენი მხრივ მსხვერპლი არ არის.

28 იანვარს 21 საათიდან მოწინააღმდეგე მკვეთრად გააქტიურდა მდინარე გუმისთაზე განლაგებული ფრონტის მთელ ხაზზე. დაიწყო ცოცხალი ძალისა და ტექნიკის კონცენტრაცია სოფელ ქვემო ეშერის სკოლის ტერიტორიაზე.

22 საათსა და 30 წუთზე მოწინააღმდეგემ გუმისთის ფრონტის ხაზზე, მის ხელთ არსებული ყველა იარაღის ცეცხლი დაუშინა ჩვენს პოზიციებს.

ქართველი მეომრები საპასუხო საარტილერიო ცეცხლით თანამიმდევრულად ახშობდნენ მათ საცეცხლე წერტილებს. პოზიციურმა ბრძოლამ დაახლოებით საათ-ნახევარს გასტანა. შემდგომ შედარებით სიმშვიდე ჩამოვარდა. ისმოდა მხოლოდ კანტი-კუნტი სროლები.

29 იანვარს დილის 9 საათისათვის მოწინააღმდეგის ტანკი გამოვიდა პოზიციებზე და გახსნა ცეცხლი. ქართველი არტილერისტების საპასუხო ცეცხლმა აიძულა იგი მიმალულიყო.

იოსებ ზობეჩია.

●

გაზი კვლავ მიეწოდება სომხეთს!

როგორც უკვე ვიუწყებოდით, 28 იანვარს მარნეულის რაიონში, სოფელ კირაჩ-მუღანლოს მახლობლად გაზსადენზე, რომლითაც თხევადი სათბობი თურქმენეთიდან სომხეთს მიეწოდებოდა, მოხდა დივერსიული აქტი — ააფეთქეს გაზსადენის ხაზი, რომელიც მდინარე ხრამს კვეთს.

დაზიანდა სამას მეტრამდე სიგრძის 700-მილიმეტრიანი მილები.

საქართველოს მთავარგაზტრანსმშენის მშენებელთა და მემონტაჟეთა კოლექტივი დაუყოვნებლივ შეუდგა აღდგენით სამუშაოებს, რომლებიც ღამითაც არ წყდებოდა.

და აი, 29 იანვარს, ავარიიდან მეექვსე დღეს, გაზი კვლავ მიეწოდება სომხეთს.

●

თურქეთის მოქალაქეობა უთხოვია

თურქეთის პრესა მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს ზვიად გამსახურდიას ყოფნას თურქეთში. როგორც გაზეთი „ჰურიეთი" აღნიშნავს, თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო იძულებული გახდა განეცხადებინა, რომ 6 დეკემბერს საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია „აეროფლოტის" თვითმფრინავით თურქეთში ჩავიდა და თხოვნით მიმართა თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს, მიეცათ მისთვის თურქეთის მოქალაქეობა, რაზეც უარი მიიღო.

ადგილობრივი ცნობით, გამსახურდიას ურთიერთობა ჰქონდა ზოგიერთ საზოგადოებასთან თურქეთში.

„კონტაქტი".

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი მოვლენა კომენტარი

ნომერში

⊙ დემოკრატია — როგორ გვესმის და აღვიქვამთ მას? 2

⊙ შენ გეძღვნება, აფხაზეთში დაღუპულო ნაღდო ვაჟკაცო!.. 3

საუბარი გერმანიის ელჩთან

29 იანვარს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო გერმანიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ბატონი გიუნტერ დალჰოფი.

საუბარი შეეხო ჩვენს რესპუბლიკაში მიმდინარე ბოლოდროინდელ პროცესებს. ბატონმა შევარდნაძემ აღნიშნა, რომ აფხაზეთის კონფლიქტი მოკლე დროში უნდა გადაიჭრას. ამ მიმართებით, ბევრი რამაა დამოკიდებული რუსეთ-საქართველოს შორის მიმდინარე მოლაპარაკებასა და გაეროს უშიშროების საბჭოს მოსალოდნელ, ეფექტურ გადაწყვეტილებაზე.

განიხილეს, აგრეთვე, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბონში ვიზიტის საკითხი. გერმანიის ელჩმა აღნიშნა, რომ მის ქვეყანაში ინტერესით ელიან ამ სტუმრობას, მას აღიქვამენ საქართველო-გერმანიის მომავალი ურთიერთობის განმტკიცების საწინდრად.

ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ მადლობა გადაიხადა კეთილი სურვილების და იმ ყურადღებისათვის, რასაც გერმანია, მისი ხელმძღვანელობა იჩენს ჩვენი რესპუბლიკისადმი, ისაუბრა ირანში მოგზაურობის შედეგებზე, აზერბაიჯანში მომავალ ვიზიტზე, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამიერკავკასიის რეგიონში სტაბილიზაციის აღდგენის საქმეში.

შეაჯამეს შედეგები

29 იანვარს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა, ედუარდ შევარდნაძემ მიიღო საქართველოში მყოფი ევროთათბირის თავმჯდომარის პირადი წარმომადგენელი, ბ-ნი იშტვან დიარმატი და მისიის წევრები, რომლებიც უკვე მეორე თვეა, შეისწავლიან ცხინვალის რეგიონის პრობლემებს. ბ-ნი დიარმატი დღეს მიემგზავრება საქართველოდან. იგი მოამზადებს ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ, რომელსაც წარუდგენს ევროთათბირის თავმჯდომარეს, გამგზავრების წინ ელჩი ეწვია საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს, რათა საბოლოოდ შეეჯამებინათ შედეგები.

ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ ბრძანა, რომ მიუხედავად გარკვეული სტაბილიზაციისა, ცხინვალის საკითხებთან დაკავშირებით, რუსეთთან ერთობლივად შექმნილი კომისია სუსტად ასრულებს დაკისრებულ ამოცანას, იგივე შეიძლება ითქვას იქ მყოფ საჯარისო ფორმირებებზე, რთულია კრიმინოგენული ვითარება, არასწორად ხდება ლტოლვილთა დაბრუნება. ხაზი გაუსვა, რომ აუცილებელია, უმოკლეს დროში საბოლოოდ გაირკვეს მხარეთა ვალდებულებები და ადამიანებმა დაიწყონ ნორმალური ცხოვრება.

ბატონმა იშტვან დიარმატმა, შეგროვილ მასალაზე დაყრდნობით, განაცხადა, რომ ორივე მხრიდან მომწიფდა აზრი, პოლიტიკური დიალოგის გამართვის შესახებ. ფიქრობენ, რომ პირველი რაუნდი თებერვალშივე შეიძლება დაიწყოს. ამჟამად, საამისოდ უკვე შექმნილია პირობები, გადადებამ შეიძლება ახალი გართულებები გამოიწვიოს. ბატონმა დიარმატმა ბრძანა, რომ დაბრუნებისთანავე მოამზადებს გაწეული მუშაობის ანგარიშს, რომელსაც გააცნობს ევროთათბირის თავმჯდომარეს, ხოლო ასლს საქართველოს ხელმძღვანელობას გამოუგზავნის, რათა ჩვენს მხარეს საშუალება ჰქონდეს, შეიტანოს საკუთარი მოსაზრებები თუ კორექტივები.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა კმაყოფილება გამოთქვა მიღებული ინფორმაციის გამო, მადლობა გადაუხადა სტუმრებს ნაყოფიერი მუშაობისათვის და აღუთქვა, სრული მხარდაჭერა სამომავლოდაც.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივნო.

დამტკიცდა დებულება

რუსთავის მმართველობის შესახებ

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულებით დამტკიცდა დროებითი დებულება „ქალაქ რუსთავის მმართველობის შესახებ".

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურის

ბრძანებულება

ქ. რუსთავის მერის დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს სოსო არეშიძე ქ. რუსთავის მერად.

ე. შევარდნაძე.

1993 წლის 28 იანვარი.

სოსო ერემიას ძე არეშიძე დაიბადა 1945 წელს ქუთაისის რაიონის სოფელ საყულიაში. 1971 წელს დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგროქიმიის ფაკულტეტი, 1992 წელს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის უმაღლესი სკოლა, მიიღო ეკონომისტის კვალიფიკაცია. შრომითი საქმიანობა დაიწყო 1964 წელს რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხანაში, სადაც იმუშავა შვიდი წელი მემანქანედ, მეაპარატედ. 1971-80 წლებში მუშაობდა პარტიის რუსთავის ქალაქკომში ინსტრუქტორად, განყოფილების გამგედ. 1980-88 წლებში იყო რუსთავის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე, 1988-91 წლებში — ალმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, 1991 წელს რუსთავის პრეფექტურის კანცელარიის მმართველი. 1992 წლის 25 იანვრიდან დაინიშნა ქ. რუსთავის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

საქართველოს პარლამენტის

დადგენილება

ქართული ფულის ნიშნების დაბეჭდვის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

1. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს 7 დღის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს პარლამენტს ქართული ფულის ნიშნების დაბეჭდვასთან დაკავშირებული წინადადებები და კონკურსის შედეგები.

2. დაევალოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, მინისტრთა კაბინეტსა და საქართველოს ეროვნულ ბანკს შეასრულონ ქართული ფულის შემოღებისათვის აუცილებელი წინასწარი სამუშაოები.

3. აღნიშნულ სამუშაოთა კოორდინირების მიზნით შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით: თ. სიგუა, რ. გოცირიძე, მ. ჯიბუტი, ქ. პოპიაშვილი, დ. დვალიშვილი, თ. ბასილია, პ. კოლუაშვილი, ვ. ადვაძე, თ. ბუაჩიძე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი

ვ. გოგუაძე.

თბილისი. 1993 წლის 27 იანვარი.

რაც ყველას გვაწუხებს

გალინა ხარებაშვილი

ჟურნალისტი პოლიტიკოსი არ არის. ამიტომ რომელიმე საკითხის გადაწყვეტის დროს შეუძლია დასაშვებზე მეტი უფლება მისცეს ემოციებს, განწყობილებას, ვინაიდან ამ ემოციებს, განწყობილებებს კონკრეტულად ბევრი არაფრის შეცვლა არ შეუძლია.

ისინი კი, ვისი სიტყვა მხოლოდ სიტყვა არ არის, ვისი სიტყვა საქართველოს დღევანდელ ისტორიას წერს და მომავალს განსაზღვრავს, შეზღუდულნი არიან ემოციებშიც და განწყობილებებშიც — შებორკილნი არიან ერთადერთი სწორი გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობით.

ამ ბოლო ხანების ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე „ცხელი წერტილია" ალბათ „საქართველო-რუსეთის ურთიერთთანამშრომლობის და მეგობრობის შეთანხმება", რომლითაც უნდა დასრულდეს საქართველო-რუსეთის მოლაპარაკებათა მესამე რაუნდი.

შეხედულებები ამ შეთანხმების დადება-არდადების თაობაზე რადიკალურად დაშორიშორდა. რამ გამოიწვია აზრთა ასეთი პოლარული სხვაობა? როგორია მათი არგუმენტაცია, ვინც ცალსახად უჭერს მხარს ამ შეთანხმებას, მეტიც, მიაჩნიათ, რომ რაც შეიძლება დროულად უნდა გაფორმდეს დოკუმენტი და, მეორეს მხრით, რით არის გამოწვეული იმათი შიში თუ გადამეტებული სიფრთხილე, ვინც აშკარად მოუწოდებს შეთანხმების ხელმოწერაზე თავშეკავებას.

სიტყვა საქართველოს პარლამენტის წევრებს:

მიხეილ ნანეიშვილი (რესპუბლიკური პარტია):

მღელვარება, რომელიც „საქართველო-რუსეთის ურთიერთთანამშრომლობის და მეგობრობის ხელშეკრულების" გაფორმებასთან დაკავშირებით წარმოიშვა, ჩემი აზრით, რამდენიმე მიზეზით არის გამოწვეული. პირველი, ეს არის რამდენიმე საეჭვო, გაუმართავი ადგილი ხელშეკრულების ვარიანტში, რომელიც ჯერ საბოლოო სახით ჩამოყალიბებული არ არის; ზოგიერთ შემთხვევაში ეს არის უბრალო გაუგებრობა საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების მიმართ უარყოფითად განწყობილ ძალებში;

დაბოლოს, რაგინდ უსიამოვნო იყოს იმ ფაქტის კონსტატაცია, მაინც ასეა: ზოგს ალაპარაკებს სურვილი თავი წარმოაჩინოს საქართველოს ინტერესების თავგამოდებულ დამცველად, მტკიცე ქომაგად და რუსული იმპერიის წინააღმდეგ პრინციპულ მებრძოლად. კიდევ უფრო უსიამოვნოა, მაგრამ ასევე ფაქტია, ისიც, რომ აქ პოლიტიკური ძალების დაგროვების საშუალებაც ჩნდება.

ერთი საკითხის ორი ასპექტი

— პირადად თქვენი პოზიცია როგორია?

— ვიდრე კონკრეტულად თემაზე მოგახსენებთ, ორიოდე სიტყვა მინდა ვთქვა ცნება ორიენტაციაზე. ეს სიტყვა გულისხმობს ადამიანთა ან ადამიანთა ჯგუფის დამოკიდებულებას ამა თუ იმ მოვლენისადმი, რაიმე გარემოცვაში საკუთარი ადგილის პოვნას.

არ შეიძლება ადამიანს რაიმეგვარი ორიენტაცია ჰქონდეს საკუთარი პიროვნებისადმი. ამ სიტყვაში დღეს გულისხმობენ, როგორც ვიცით, საქართველოს დამოკიდებულებას კულტურულ სამყაროსთან. საქართველო კი, დღიდან თავისი არსებობისა, ისტორიულად, კულტურულად ყოველთვის იყო და რჩება ევროპად. ამდენად ამ შინაარსით ამ ცნების ხმარება დღეს გაუმართლებლად მიჩანს. ლაპარაკია იმ კულტურულ მსოფლიოზე, რომლის ორგანული ნაწილი არის საქართველო. სხვა ამბავია, რომ ჩვენი ქვეყანა ისტორიულ გარემოებათა გამო მოწყდა თავის ორგანულ ნაწილს და ამჟამად ჩვენი ერის უმთავარესი მიზანია დაასრულოს ხუთასწლიანი „ბრძოლა ევროპისათვის" და ერთხელ და სამუდამოდ დაიმკვიდროს ადგილი ევროპულ ერთა ოჯახში.

ცნება „ორიენტაციას" მოვუხმოთ მაშინ, როდესაც საუბარი გვექნება იმ სახელმწიფოებზე, რომლებთანაც საქართველომ უნდა დაამყაროს სპეციალური კავშირები. რა თქმა უნდა, საქართველოს თავისი მდგომარეობის გამო ამგვარი კავშირები სჭირდება. ჩვენი პარტია, რესპუბლიკური პარტია ფიქრობს, და საამისო საკმაოდ მტკიცე არგუმენტები გვაქვს, რომ ევროპაში ამგვარი სახელმწიფო გერმანიაა.

არსებობს ეჭვი, თითქოს დღევანდელი ხელისუფლება რუსეთზე იყოს ძირითადად ორიენტირებული. ასეთი ეჭვი, ეტყობა, ხელშეკრულების სახელწოდებამაც წარმოშვა — „ხელშეკრულება თანამშრომლობისა და მეგობრობის შესახებ".

— ეს, ეტყობა, გეორგიევსკის ტრაქტატიდან მომდინარე ასოციაციაა.

— ნაწილობრივ, — ალბათ. მაგრამ ასეთივე „სამეგობრო" ხელშეკრულება ჩვენმა ქვეყანამ უკვე დადო თურქეთთან, ასეთი ხასიათის დეკლარაცია იქნა მიღებული ჩვენი სახელმწიფოს მეთაურის ამასწინანდელი ვიზიტის დროს სპარსეთში. ასე რომ, თუ საქმე მაინცდამაინც სიტყვა „მეგობრობაშია", სამი ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული პოლიტიკური ორიენტაციის ქვეყნის ინტერესთა ერთიანობაზე ლაპარაკი ალბათ გაუმართლებელი იქნებოდა. საუბარია უბრალოდ სავსებით გამართლებულ პოლიტიკურ ნაბიჯებზე, რომელთა გადადგმას ჩვენი ახალფეხადგმული ქვეყანა ძალზე სწორად ცდილობს. ხოლო მომავალში, თუ რომელიმე ამ მეგობრული ხელშეკრულებათაგანი არ გაამართლებს, ყოველ შემთხვევაში, საქართველოს ვერვინ უსაყვედურებს, რომ უარი თქვა ამ ურთიერთობებზე ან რაიმე აღიარებული ნორმათაგანი დაარღვია.

— თქვენი საუბრიდან იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ ხელშეკრულება რაც შეიძლება დროულად უნდა დაიდოს.

— უთუოდ; ერთმანეთის ინტერესების შეუბღალავი ურთიერთხელსაყრელი ხელშეკრულების დადება საშური და აუცილებელი საქმეა.

მერაბ ურიდია („ქარტია-92"):

თავისთავად ხელშეკრულების მიღება საჭიროა, მეტიც — ყოვლად აუცილებელი. ოღონდ გააჩნია, რა შინაარსის მატარებელი იქნება იგი. ხელშეკრულების ის ვარიანტი, რომელიც ორი რაუნდის შემდეგ არის მიღწეული, ჩვენთვის, ჩვენი ორგანიზაცია მაქვს მხედველობაში, მიუღებელია.

— მაინც მინდა მეც და მკითხველმაც ვიცოდეთ, კონკრეტულად რა არ მოგწონთ მისაღები ხელშეკრულების ვარიანტში?

— მაგალითად, თუნდაც VII მუხლის მესამე აბზაცი ავიღოთ, რომელიც ორივე სახელმწიფოს უფლებას აძლევს, თუ საჭირო გახდება, ყველანაირი საშუალებით დაიცვას თავიანთი მოქალაქეები მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე. ჩვენ რა დამცავები ვართ, კი ვიცით, ამიტომ ეს პუნქტი არაფერს გვაძლევს, სამაგიეროდ ეს პროვინციის შეიარაღებულ კონფლიქტში გადაზრდის საუკეთესო პირობებს ქმნის და თუ ეს ასე მოხდება, ვერც ვერაფერში შეედავები, ვინაიდან მას საამისო იურიდიული საფუძველი ექნება.

ამგვარი საკითხი ბევრია. „ქარტია-92"-მა ამ საკითხს სპეციალური პოლიტიკური დებატები მიუძღვნა და თუ ჩვენს მიერ იქ დასმული საკითხები არ მოწესრიგდება, ხელშეკრულებაზე ხელმოწერას მხარს ვერ დავუჭერთ.

— აზრთა სხვადასხვაობაში საინტერესოა საქართველოს ეროვნული იდეოლოგიის პარტიის პოზიციაც:

— ისეთ ვითარებაში, როდესაც ერს არა ჰყავს ერთიანი ეროვნული არმია, არა აქვს ეროვნული ვალუტა და მანეთის დამღუპველ ზონაშია დატუსაღებული, როცა არ არის გამოკვეთილი და დაცული ეროვნული საზღვრები, ხოლო სოციალურად და სახელმწიფოებრივად გაურკვეველ სიმბიოზში ცხოვრობს, ცხადია, სარისკოა კაბალური ხელშეკრულების დადება მეზობელ სახელმწიფოსთან, განსაკუთრებული იმპერიული ძალით სავსე ქვეყანასთან, რომელსაც ორი საუკუნის მანძილზე ვყავდით დაპყრობილი.

ჩვენი აზრით, ეგრეთწოდებული „დიდი ხელშეკრულება" ჯერ ქართველმა ერმა უნდა გაიცნოს და თავისი დამოკიდებულება გამოხატოს მისდამი რეფერენდუმის საშუალებით. სხვაგვარად ასეთი ხელშეკრულების დადება გამოიწვევს გაუთვალისწინებელ შედეგებს, მით უმეტეს, რომ საქართველოდან არ არის გაყვანილი უცხო ქვეყნის ანუ დამპყრობელთა ჯარები, რადგან ისინი ჩვენს ტერიტორიაზე შემოვიდნენ და დარჩნენ ჩვენი ერის ნების შეუსაბამოდ, უფრო მეტიც, მის საწინააღმდეგოდ.

საქართველო დამოუკიდებელი არ არის ეკონომიკურადაც და არც თავისი საკუთარი ეკონომიკური სისტემის მექანიზმი აქვს ჩამოყალიბებული. ასეთ პირობებში რა ხელშეკრულებაზეა ლაპარაკი? ამასთან, ჩვენთან არც ადამიანის უფლებებია დაცული.

ქართველი ერი დამოუკიდებლობის გზაზე დგას და იგი ბოლომდე იბრძოლებს ჭეშმარიტი დამოუკიდებლობისა და თავისუფლების დამკვიდრებისათვის. ვერავითარი იმპერიული თუ სატანური ძალები მას ამ გზიდან ვერ ააცდენენ.

რუსეთთან დამოკიდებულება საქართველოს ცხოვრებაში ყოველთვის იყო პრობლემათა პრობლემა. ამიტომ არ არის გასაკვირი ესოდენი ინტერესი დღესაც ამ პოლიტიკური „ცხელი წერტილის" გამო. ალბათ ღმერთი იმით გვწყალობდა ყოველთვის, რომ გადამწყვეტ მომენტში ერი მაინც იჩენდა გამორჩეულ გონიერებას, რამაც გადაგვარჩინა კიდეც ფიზიკურად. ვიწამოთ, რომ აგრე იქნება ამჯერადაც.

კარიკატურისტის თვალით



მხატვარი ბესიკ ზუგაშვილი

მოვლენათა კვალდაკვალ

დემოკრატიის სული

ლაზარე ზაქარიაძე

„ჩვენ ვიტყვით, კაცნი
ჩვენა ვართ,
მარტოთ ჩვენ გვზრდიან
დედანი;
ჩვენა ვსცხონდებით,
ურჯულოთ
ქუპრში მიელის ჭმენანი.
ამის თქმით ვწარა-
მარაობთ
ღთიშვილთ უკეთეს
იციან,
ყველანი მართალს
ამბობენ
განა ვინაცა ჰფიციან?!

ვაჟა-ფშაველა

დემოკრატია — როგორ გვესმის იგი, როგორც სული, როგორც მსოფლიო ხედვა და მსოფლშეგრძნება? ან რატომ ხდება ისე, რომ სწორედ დემოკრატიაზე ორიენტირებული ქვეყნები გადიან უფრო დიდ სინათლეზე — როგორც ეკონომიკურად და პოლიტიკურად, ასევე კულტურულად. გადავხედოთ მსოფლიოს — ჰუმანური დახმარება, მეცენატობა, სამხედრო-პოლიტიკური უსამართლობის დროს მხარში ამოდგომა, ძალისმიერ-იმპერიული სტრუქტურების რღვევის პროცესების თანაგრძნობა, ყოველგვარი ურთიერთობების, დაწყებული დიპლომატიურით და დამთავრებული წმინდად ადამიანურით, ხელშეწყობა და განვითარება — ერთი სიტყვით, ის, რასაც კეთილი ნება ჰქვია, სწორედ დემოკრატიული სამყაროდან მოდის, ანუ იმ სამყაროდან, რომელ სამყაროშიც პატივს სცემენ არა ძალასა და დიქტატს, არამედ ინტელექტსა და პოლიფონიას.

პოლიფონია — ალბათ შემთხვევით არ ამოატივტივა მეხსიერებამ ეს სიტყვა. პოლიფონია — ეს ხომ სამყაროს სპექტრული ხედვაა, მრავალხმოვანებაში დიდი ჰარმონიის დანახვის უნარი. მაგრამ სმენა უნდა გქონდეს კაცს, პოლიფონიურ ქოროში შენი ხმა რომ იპოვო—მოსმენის უნარი, უნარი, რომელიც ასე გვაკლია ჩვენ დღეს. ახალქართული პარლამენტი ძალზე საინტერესოა ფსიქოლოგიური დაკვირვებისათვის. საინტერესოა თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ მასში ვიზუალურად იკვეთება ერის სახე, ერის ფსიქოლოგია. პარლამენტი ხომ რჩეულია ერისა, ხალხის რჩეული, ხშირად, როცა ესა თუ ის პარლამენტარი მიკროფონს უახლოვდება, იგრძნობა როგორ დაძაბულია იგი და მაქსიმალურად კონცენტრირებული საკუთარ სათქმელზე. სამაგიეროდ, საკმარისია დაამთავროს სათქმელი და სხვის ჯერი დადგეს, რომ ეფანტება ყურადღება, მზერა ეფანტება. არაერთგზის შემიმჩნევია არაერთი პარლამენტარის თვალებში ასეთი უცნაური მეტამორფოზა. ნურავინ მიწყენს, მაგრამ ზედმეტად შეყვარებულნი ვართ საკუთარ თავზე პარლამენტარებიც და არაპარლამენტარებიც. აქედან იწყება ჩვენი უბედურება. თუ მარტო შენ იცი და მარტო შენა ხარ მართალი, მაშინ შენა ყოფილხარ. შენა და შენი ნაბადი კიდევ. მაშინ არცა პოლიფონია ყოფილა და არცა ჰარმონია ბუნებაში. ამ შეგრძნებიდან იწყება დიქტატურის სულიც. დიქტატორმა იცის ყველაფერი, იცის, პოლიფონიური ქორო კი ერთ უსახურ მასად იქცევა, რომელშიც იკარგება ხმაცა და ინდივიდიც. ადამიანი იკარგება, სული, ინდივიდუალური გზა. აი, საიდან იწყება ღვთის რისხვა დიქტატორულ პერიოდებში, ღვთის სასჯელი. არავისა აქვს უფლება ადამიანს საკუთარი სახე წაართვას, საკუთარი ინდივიდუალობა, და, თუ ეს ასე ხდება, ილუპება ქვეყანა, რადგანაც ირღვევა დიდაბუნების ჰარმონიის კანონი. ჩვენი ქვეყანაც ამან დაღუპა. ხშირად ვაგინებთ ახლა კომუნისტურ წყობილებას, მაგრამ როდესაც დღევანდელ პრესას გადაშლი, გრძნობ, რომ ბევრ ჩვენთაგანს ჯერ კიდევ ბოლომდე გაცნობიერებული არა აქვს თუ რას ნიშნავს კომუნისტური ბეჭედი სულში. კატეგორიულობა — ეს კომუნისტურია. ერთადერთი აზრის პატივისცემა (და თანაც იმ აზრის, რომელსაც შენ თვითონ გამოთქვამ) — ეს კომუნისტურია. სასჯელისა და ძალის ფეტიში — ეს კომუნისტურია. ზოგადი სიმართლე და ზოგადი იდეალები (როცა ზოგადად ყველაფერში მართალი ხარ და კონკრეტულად არაფერში) — ეს კომუნისტურია. პარტიული აზროვნება — ეს კომუნისტურია. დიალოგის მაგივრად მონოლოგი — ეს კომუნისტურია... რამდენი ერთი ჩამოვთვალო... კომუნისტური ბეჭედი პარტბილეთში კი არ არის მართლა, სულშია უფრო. აი, ამ ბეჭდისგან განთავისუფლებაა ძნელი და სწორედ ეს მოახერხა ედუარდ შევარდნაძემ. ამიტომაც აქვს მოსმენის უნარი, ამიტომაც სურს დიალოგი, ამიტომაც მიიღო იგი მსოფლიომ. მთავარი კი ის გახლავთ, რომ სახელმწიფოს მეთაური ცდილობს საქართველოს დემოკრატიული განვითარების ფსიქოლოგიური წანამძღვრები შექმნას. ცდილობს, რადგან ნახა მსოფლიო და მიხვდა, დემოკრატია საზოგადოებისა და ადამიანის განვითარებისა და სრულქმნის აუცილებელი პირობაა, დემოკრატია არის ცივილიზებულ სამყაროსთან შერწყმის ერთადერთი გზა და საშუალება. დღეს მოდად იქცა მასონებზე საუბარი, მაგრამ გავკადნიერდები და ვიკითხავ — იმიტომ, რომ საკითხავია კიდევ ვინ უფროა „მასონი" — ის ქართველი, ცოცხალ ადამიანს რომ გაალმერთებს და ცოცხალ ადამიანზე ილოცებს, თუ ის ამერიკელი თუ ევროპელი, დაუნით დაავადებულ რუსის ბავშვებს რომ წაიყვანს გასაზრდელად — ქრისტიანობაც ამას ჰქვია სხვათა შორის და ქრისტიანობა კიდევ იმას ჰქვია, სომალიში მოშიმშილე ბავშვების შიმშილი გტკიოდეს და საქართველოში არეულობა გტკიოდეს თუნდაც. ფარისეველთა რისხვა იყო მაცხოვარი. ტყუილად კი არ თქვა ვაჟამ: „ყველანი მართალს ამბობენ განა ვინაცა ჰფიციან"-ო — ??? ქრისტიანები ჩვენა ვართ, ღმერთი ჩვენ გვიყვარს და სომალისთვის ან იუგოსლავიისთვის დახმარება კი არადა, ჩვენი ძმებისა და შვილებისთვის ვერ მიგვიწვდენია მხარი, ან არ გვემეტება, ან გზაში ვძარცვავთ და ვყვლეფთ...

დემოკრატია — რეტროსპექტულ მზერას თუ გადავავლებთ კაცობრიობის განვითარების ისტორიას, შევნიშნავთ ერთ უცილო ფაქტს: სწორედ დემოკრატიისა და თავისუფლების პირობებში წარმოჩინდა ადამიანის ნიჭი და ტალანტი ყველაზე ნათლად. ყველა ეპოქაში ასე იყო. აღმაშენებლის ეპოქაში თუნდაც. ნებისმიერ არაორდინარულ ნაბიჯს მეფეთ-მეფის ღონისძიებათა უგრძესი ჯაჭვისა, ეკლესიის რეფორმით დაწყებული და დამთავრებული ჯარის შექმნით, დემოკრატიის სუნი ასდის. ამიტომაც იყო ამხელა წინააღმდეგობა. რუტინა, სტერეოტიპი, ვერ შეგუობდა აღმაშენებლის რეფორმატორულ ბუნებას, ვერ შეგუობდა, რადგანაც საქართველო და ქართველი კაცი მას სხვა სივრცეში გაჰყავდა, თეთრ, ნათელ სივრცეში, სადაც ვერ იპარპაშებდა სიბნელე და უმეცრება, ორგული და ქვეგამხედვარი. მაგრამ იმ სივრცემდის მთელის დატვირთვით ამუშავდა კანონის ჯოხი, კანონიერების მანქანა. აღმაშენებელს რომ თავისი ღონისძიებათა ჯაჭვი ზემოდან არ დაეწყო, ვერ მოიგებდა ვერც ერთ ომს, ვერც აღმაშენებლის სახელს დაიმკვიდრებდა საქართველოს ისტორიაში.

საკუთარ სულს უმკურნალა ჯერ ერმა, და, საკუთარ სხეულს, მერე მოავლო ლომური მზერა მთელს კავკასიას. საკუთარი თავის წინაშე უნდა იყო მართალი ჯერ, ოღონდ ისე კი არა, შენც იყვირე, მეც ვიყვირებ და სოფელიც აშენდებაო, ისე როგორც პოლიფონიას ეკადრება, პოლიფონიურ ქოროს: შენი ხმა საერთო კონტექსტში უნდა იპოვო ღვთით ბოძებული ნიჭისა და ტალანტის მიხედვით. ეს მექანიზმია მოშლილი. ამ მექანიზმის ამუშავებაა ყველაზე რთული.

კანონიერების აღდგენა — აი, საიდან იწყება დემოკრატია თავისი ნამდვილი აზრითა და მნიშვნელობით. კანონი, ეს საერთო პარტიტურაა, საერთო ნოტები. ეს ჰარმონიის აუცილებელი პირობაა პოლიფონიის პირობებში თუნდაც. ისევ ახალ ქართულ პარლამენტს მინდა დავუბრუნდე და ერთი საინტერესო ფსიქოლოგიური ნიუანსი შევნიშნო. ძალიან ხშირად პარლამენტარები კატეგორიული ტონით გამოდიან და ამას აქვს თავისი ობიექტური საფუძველი. კანონი არ სრულდება, ეს კი პარლამენტარს უკარგავს ერთგვარ ფსიქოლოგიურ წონასწორობას, მორალურ სიმყარეს. დოსტოევსკის ერთი გმირისა არ იყოს, მე რაღა კაპიტანი ვარ, თუ კი ღმერთი არ არსებობს... პარლამენტარი, როგორც ოფიციალური პირი, როგორც საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენელი, ჰკარგავს თავის ფუნქციასა და დანიშნულებას, თუკი კანონი არ სრულდება. ელემენტარული ლოგიკაა ეს — რაღაა, ან ვიღაა ის კანონმდებელი, ვისი კანონებიც არ სრულდება და, პირიქით, აღმასრულებელ ხელისუფლებას სჭირდება კანონიერი ფასადი, კანონის მექანიზმი. სამწუხაროდ, ეს პროცესიც დარღვეულია. ამასაც აქვს თავისი ობიექტური და სუბიექტური მიზეზები, მაგრამ ცხადია ერთი რამ: სანამ იარაღი კანონია, მანამ კანონი იარაღად ვერ იქცევა. ამიტომაც თუკი ჩვენ დემოკრატიის ფსიქოლოგიური წანამძღვრების შექმნა და შენება გვსურს, ერთხელ და სამუდამოდ გავითავისოთ: იარაღიანი ადამიანების თარეში საქართველოში ყოვლად დაუშვებელია. სამწუხაროდ, სათქმელად ადვილია, მაგრამ საქმნელად ძნელი. ძნელია ელაპარაკო კაცს, რომელიც იარაღის ენით გელაპარაკება. თუმცა, არსებობს კიდევ ერთი უძველესი და უძლიერესი იარაღი — ეს არის სახელმწიფო. ცივილიზებული სამყარო ერთადერთი მის წინაშე ხრის თავს, ისიც იმ შემთხვევაში, თუკი სახელმწიფოს ორგანიზმში არ არის განტოტილი დანაშაულის მეტასტაზები. ისევ სათავესთან მივედით: რამდენადაც თავისუფალია ქვეყანა და რამდენადაც დემოკრატიული, იმდენად დიდია მასში კანონის უზენაესობის განცდა, კანონის პატივისცემა. მაგრამ ერთიცაა: ყოველივე ამას ეკონომიკური საფუძვლები სჭირდება. ეკონომიკური გარანტიების გარეშე მოქალაქეს უძნელდება მოქალაქეობრივი ღირსების შეგრძნება. უფრო უბრალოდ ვიტყვი: მშიერი კაცი ვერ იქნება თავისუფალი, ვერც დემოკრატი ვერ იქნება.

აი, ასე ერთმანეთს ეჯვარება და ერთმანეთს ერწყმის პრობლემათა ის სპექტრი, რომლის გაუვლელად საქართველო დემოკრატიული განვითარების გზას ძნელად დაადგება. სამწუხაროდ, ბევრი ჩვენგანი იმის მაგივრად, რომ სახელმწიფო ფიქრი აამუშაოს საკუთარ გულსა და გონებაში, ერთმანეთის ლანძღვა-გინებასა და განქიქებას უნდება. მე თუ ცუდი ვარ, მერე შენ ამით რა, უკეთესი გახდები? ანდა შენ თუ ხარ უშნო, მე რაღა გამალამაზებს? დემოკრატიის სულის დამკვიდრების ერთ-ერთი აუცილებელი პირობა სახელმწიფო ფიქრია. სახელმწიფო ფიქრი კიდევ აზროვნების გარკვეული დონეა, გარკვეული სიბრტყე, რომელიც, ყველას, რა თქმა უნდა, ბოძებული არა აქვს ღვთისაგან. ვისაც აქვს, იმას მოვუსმინოთ. სამწუხაროდ, საერთო კონტექსტიდან ამოვარდნილი პოლიტიკური აზროვნება, ჩვენი, ქართველთა ხვედრია ისტორიულად: ჩვენა ვართ და ჩვენი ნაბადი. მივიხედ-მოვიხედოთ, ჩვენი ჭიშკრის იქით გადავიხედოთ, იქნებ სხვა სინათლეც დავინახოთ, სხვა სიღრმეც, მართლაც და მართლაც, რაც კარგები ვართ, მარტო ქართველები კი არა ვართ.

როდესაც დემოკრატიის სულის გრძნობად-პლასტიური სურათ-ხატის წარმოდგენა მსურს, რატომღაც თავდახრილი ადამიანი წარმომიდგება თვალწინ და სწორედ თავისი თავდახრილობით მაღალი. არა თავმაღლობით. არა: თავდახრილობით. ასე, რომ, დავხრიდეთ ყველა თავს (თავდახახრელი კი უამრავი რამ ხდება საქართველოში) დამერწმუნეთ, უფრო მეტს დავინახავთ, უფრო მეტს შევიგრძნობთ, ერთი მიზეზით თუნდაც: თავდახრილი კაცი უფრო მეტს და უფრო ღრმად იხედება საკუთარ სულში. სულში, საიდანაც იწყება ყველაფერი ამ ქვეყანაზე...

პარლამენტის პრესცენტრი გვატყობინებს

გაზეთმა „იზვესტიამ" 27 იანვარს გამოაქვეყნა ცნობა, რომ ტირასპოლში ხელმოწერილია შეთანხმება დნესტრისპირეთსა და აფხაზეთს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ. „ჯერ კიდევ აუღიარებელი, მაგრამ თვითგამორკვევის გზაზე ჯიუტად მდგომი ეს ორი რესპუბლიკა, — ნათქვამია პუბლიკაციაში, — ცდილობენ თავი დააღწიონ პოლიტიკურ იზოლაციას, რომელშიც ისინი იმყოფებიან და ამიტომაც ეძებენ ერთმანეთის მხარდაჭერას". ხელმოწერილი დოკუმენტის მიხედვით, იუწყება გაზეთი, ეს რეგიონები ერთმანეთთან განავითარებენ პოლიტიკურ და ეკონომიკურ კონტაქტებს. გათვალისწინებულია ერთმანეთისადმი სამხედრო დახმარებაც. ამ საკითხში შეთანხმება განსაკუთრებით აშფოთებს მოლდავეთის ხელისუფლებს,— დასძენს გაზეთი.

◎

როგორც მოსკოვში ჩვენი საელჩოს პრესცენტრისათვის კომპეტენტური წყაროებიდან გახდა ცნობილი, 26 იანვარს აფხაზეთსა და დნესტრისპირეთს შორის დადებული ხელშეკრულების თაობაზე ტირასპოლში პრესკონფერენცია გამართა აფხაზთა ერთ-ერთმა ლიდერმა ზურაბ აჩბამ. მან თურმე განაცხადა, რომ დნესტრისპირეთთან დადებული ხელშეკრულება და საერთოდ ეს აქცია ერთმანეთის აღიარება კი არა, იმის ცდაა, რომ „შეიქმნას ცხელი წერტილების საბჭო, რომელიც შეიმუშავებს კონფლიქტების მოგვარების რაღაც მექანიზმს, რომელზეც დღეს თანამეგობრობაში არავინ ფიქრობს".

იგივე კომპეტენტური წყაროებიდან ჩვენი საელჩოს პრესცენტრისათვის ცნობილი გახდა, რომ დნესტრისპირეთ-აფხაზეთის ხელშეკრულება ხელმოწერილია არძინბას მიერ, მაგრამ აფხაზ სეპარატისტთა მთავარი ლიდერი ტირასპოლში არ ყოფილა და ხელშეკრულების ტექსტი იქ ხელმოწერილი ჩაიტანეს. ხელშეკრულების მეთერთმეტე მუხლი, ადასტურებენ ეს წყაროები, ნამდვილად ითვალისწინებს ორმხრივ სამხედრო დახმარებას. კერძოდ კი მასში ნათქვამია, რომ რომელიმე მათგანზე თავდასხმისას აფხაზეთი და დნესტრისპირეთი აერთიანებენ ძალისხმევას აგრესორის წინააღმდეგ. როგორც იუწყებიან, ამჟამად ტირასპოლში იმყოფებიან რუსეთის პარლამენტის დეპუტატები, რომლებმაც თავი აარიდეს პრესკონფერენციას. ამასთან იმასაც იუწყებიან, რომ ამ პრესკონფერენციაზე არ გამოჩენილა სსრ კავშირის ყოფილი დეპუტატი საჟი ომალატოვა, რომელიც ზურაბ აჩბას თან ახლდა ტირასპოლში ყოფნისას.

◎

თვითმარქვია გაგაუზიის რესპუბლიკამ და აფხაზეთმა კომრატში ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ, — ამას იუწყება გაზეთი „იზვესტია" 27 იანვრის პუბლიკაციაში. — ხელშეკრულება ითვალისწინებს თანამშრომლობას ყველა სფეროში, — წერს გაზეთი, — და, რაც მთავარია, ხაზგასმით არის ჩაწერილი თანამშრომლობა სამხედრო დარგში. როგორც გაგაუზიის უზენაესი საბჭოს სამდივნოში განაცხადეს, გაგაუზია უახლოეს ხანში დახმარებას გაუწევს მეომარ აფხაზეთს. თუ რა სახის დახმარება იქნება ეს, ამას უზენაესი საბჭო გადაწყვეტს 29 იანვარს, წერს გაზეთი.

ილუზია და სინამდვილე

ეს უკვე ილუზია აღარ არის. აშკარად გამოიკვეთა რეალური პერსპექტივა იმისა, რომ საქართველო შეიძლება გახდეს შემაკავშირებელი რგოლი აზიისა და ევროპის კავშირგაბმულობის ქსელისა, — გვარწმუნებენ საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის მინისტრი ბატონი ფრიდონ ინჯია, საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის კავშირგაბმულობის ქვეკომისიის თავმჯდომარე ბატონი ჯემალ ბერიძე და კავშირგაბმულობის სამინისტროს სამმართველოს უფროსი ბატონი თეიმურაზ ბერიშვილი.

კორესპონდენტი: ცნობილია, რომ საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ბატონ ედუარდ შევარდნაძისა და სამხრეთ კორეის „ჰანვას" ჯგუფის თავმჯდომარის ბატონ სუნგ იონ კიმის 1992 წლის 21 სექტემბრის მოლაპარაკების შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის დელეგაცია, თქვენი შემადგენლობით, ამ ჯგუფის მიწვევითა და მისივე ხარჯებით, 1992 წლის 16 დეკემბრიდან 28 დეკემბრამდე სამხრეთ კორეაში, სეულში, იმყოფებოდა. სამხრეთკორეელები მდიდრები არიან, რამდენიმე კაცის მიწვევა „ეკონომიკური სასწაულის" ქვეყანაში მათთვის დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს, მაგრამ ისიც ნათელია, კაპიტალისტები უმიზნოდ გროშს არ იმეტებენ. აქედან გამომდინარე, მაინც რამ განაპირობა, ბატონებო, სამხრეთკორეელთა დაინტერესება საქართველოთი?

ფ. ინჯია: მოგახსენებთ. ჯერ ერთი, მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი, ალბათ, ედუარდ შევარდნაძის დიდი ავტორიტეტი იყო.

ჯ. ბერიძე: ცუდად ნუ გამიგებთ, მაგრამ მაინც უნდა გითხრათ: შევარდნაძეს რომ ვახსენებდით, სკამიდან წამოიწეოდნენ ხოლმე.

ფ. ინჯია: მართლა ასე იყო. ისინი აზიელები არიან და გამორჩენილი პიროვნებების მიმართ დიდ პატივისცემას ამჟღავნებენ; მეორეც, მათ სხვადასხვა ბაზრებში შეჭრის საკუთარი მეთოდი აქვთ. მესამეც, ჩვენი რესპუბლიკა კავკასიის ცენტრია, აზია-ევროპის გასაყარი, და მშვენივრად იციან, რომ საქართველო შეიძლება გახდეს შემაკავშირებელი რგოლი პლანეტის ამ ორი უდიდესი რეგიონის კავშირგაბმულობის ქსელისა.

ჯ. ბერიძე: აქ თავისი როლი, ალბათ, წმინდა ადამიანურმა ფაქტორმაც ითამაშა. მათ აღიქვეს ჩვენი ხასიათი, და შესაძლებლად მიიჩნიეს თანამშრომლობა.

კორესპონდენტი: გეთანხმებით, მაგრამ სამხრეთ კორეელებმა პირველ ეტაპზე რატომღაც საქართველოს კავშირგაბმულობასთან არჩიეს თანამშრომლობა. ამასაც აქვს, ალბათ, თავისი მოტივაცია?

ფ. ინჯია: უეჭველად. მათი დელეგაცია იყო თბილისში. ნახეს ჩვენი კავშირგაბმულობა და, ეტყობა, დაინტერესდნენ.

კორესპონდენტი: ნუთუ რითიმე მოვაწონეთ თავი?

ფ. ინჯია: სწორედ ამის შესახებ მსურდა მომეთხრო. თავმოსაწონებელი ჯერ არაფერი გვაქვს. კავშირგაბმულობა უმძიმეს მდგომარეობაშია. თბილისში 244 ათასი სატელეფონო ნომერია, რომლის 35 პროცენტი შესაცვლელია. ნუ მიწყენენ სხვა რეგიონები, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ თბილისი საქართველოს დედაქალაქია და ამდენად, საჩვენებელი, სანიმუშო უნდა იყოს. მთლიანად საქართველოს დღეს 1,5 მილიონი სატელეფონო ნომერი სჭირდება, ეს კი დაახლოებით 450 მილიონი დოლარის ამბავია. სახსრები არ არის — ჩვენ რაღაც 2-3 პროცენტის გაკეთება თუ შეგვიძლია. ამიტომ, იძულებული ვართ, მოვუხმოთ უცხოელ, ამ შემთხვევაში, სამხრეთკორეელ ინვესტორებს და დავარწმუნოთ, რომ მათი უახლესი ტექნოლოგიისა და ტექნიკური აღჭურვილობის პატრონებად გამოვდგებით.

თ. ბერიშვილი: არ დავამტვრევთ უცბად, არ გავძარცვავთ.

ფ. ინჯია: რასაკვირველია, ისიც სათქმელია, რომ თბილისში ამჟამად, 80 ათასი კაცი ელოდება ტელეფონს. ზოგიერთი 1960 წლიდან დგას რიგში...

კორესპონდენტი: მაინც რა ტიპის სატელეფონო სისტემას გვთავაზობს სახელგანთქმული „ჰანვას" ჯგუფი?

ჯ. ბერიძე: მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების ტელეფონიზაციაში ამჟამად ე. წ. ციფრული სისტემების დამუშავებისა და ექსპლუატაციაში დანერგვის მიმართულებაა აღებული. ერთ-ერთი მსგავსი, ოღონდ ამჟამად უკვე მოძველებული (AXE-10) თბილისში უკვე ჩართულია, სამხრეთ კორეის მხარე კი გაცილებით თანამედროვე ტექნოლოგიით დამზადებულ ТДХ-10 სისტემას გვთავაზობს, რომელიც მსოფლიოს უახლეს სისტემათა დონეზეა.

ხიდები

კორესპონდენტი: ჩვენს წინაა სამხრეთ კორეისა და საქართველოს მხარეების შეთანხმების ოქმი. ახლა, ალბათ, თქვენი ვიზიტის კონკრეტული შედეგების შესახებაც შეიძლება ვისაუბროთ.

ფ. ინჯია: ბუნებრივია, წინასწარ უნდა ითქვას, რომ თბილისში 100 ათასი სატელეფონო ნომრის აპარატურა დამონტაჟდება, აქედან, 35 ათასი შეიცვლება, 65 ათასი კი, საერთოდ, ახალი დაიდგმება. აღსანიშნავია, რომ ძირითად სამუშაოებს „ჰანვას" ჯგუფის ფირმა „ოტელკო" შეასრულებს.

კორესპონდენტი: კი, მაგრამ, ეს ხომ კოლოსალურ ხარჯებთან იქნება დაკავშირებული?

ჯ. ბერიძე: სატელეფონო ქსელის 100 ათასი ნომრის საერთო ღირებულება 30-40 მილიონი ამერიკული დოლარია. ნავარაუდევია, რომ ამ პროექტის განხორციელებისათვის საჭირო თანხას განვითარებადი ქვეყნებისთვის არსებული სპეციალური ფონდებიდან (ЕДСF) მივიღებთ — კრედიტის სახით.

კორესპონდენტი: ამოდენა კრედიტს გადახდა არ უნდა?

თ. ბერიშვილი: ЕДСF-ის კრედიტი შეღავათიანია და მისი პირობები ასეთია: პროცენტი — 2,5-5,0 (წლიური), ხანგრძლივობა — 20-25 წელი, გადაუხდელობის პერიოდი — 5-7 წელი.

კორესპონდენტი: კეთილი, მაგრამ სესხის მიღებას გარკვეული პერიოდი და პირობებიც ხომ სჭირდება?

ჯ. ბერიძე: შევთანხმდით, რომ ЕДСF-ის სესხის მისაღებად, საქართველო უმოკლეს ვადაში, 1993 წლის 31 იანვრისათვის, მოამზადებს და კორეის მხარეს მიაწვდის საჭირო დოკუმენტაციას — შეთავაზებული პროექტის განსაზღვრასა და დასაბუთებას, პროექტის განხორციელების პროგრამას, ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებას. ამის შემდეგ, სესხის მოთხოვნა სამხრეთ კორეის მთავრობის სახელზე, დიპლომატიური არხით მოხდება. ამ მოთხოვნას საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო მოამზადებს. საკუთარ მთავრობასთან შუამდგომლობას კი „ოტელკო" კისრულობს. აღსანიშნავია, რომ ჩვენს პარალელურად, იმავე „ჰანვას" ჯგუფის მიწვევით, სეულში იმყოფებოდა საქართველოს სამთავრობო დელეგაცია რესპუბლიკის ვიცე-პრემიერის ბატონ რომან გოცირიძის, ეკონომიკის მინისტრის ბატონ მიხეილ ჯიბუტისა და საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა მინისტრის ბატონ თეიმურაზ მამაცაშვილის შემადგენლობით. მათმა ძალისხმევამ დიდად შეუწყო ხელი ჩვენი შეთანხმების მიღწევას.

კორესპონდენტი: კიდევ ხომ არ მიაღწიეთ რაიმე შეთანხმებას?

ჯ. ინჯია: სამხრეთ კორეის „ტელკომის" წარმომადგენელი, ბატონი ხე ვუკ ლი შეგვპირდა, რომ სტაჟირებაზე მოიწვევს საქართველოს კავშირგაბმულობის მუშაკებს. გზისა და იქ ცხოვრების ხარჯებსაც კორეის მხარე გაიღებს.

გარდა ამისა, მოლაპარაკების საგანი იყო საქართველოში ТДХ ან PABX სისტემების მწარმოებელი ერთობლივი საწარმოს შექმნა.. მინდა დაგარწმუნოთ, რომ არც ის საქმეა უპერსპექტივო.

ჯ. ბერიძე: არ დაგვვიწყებია რაიონული და სასოფლო სატელეფონო ქსელებიც. ამისათვის, სამხრეთ კორეის მხარეს ვთხოვეთ, ერთ-ერთი სავარაუდო რაიონის ტელეფონიზაციის პროექტის შედგენა, თავისი ხარჯთაღრიცხვით. გესმით, ალბათ, ამის მიზანი? — თუ მსგავს საქმეს დავაპირებთ, ხომ უნდა ვიცოდეთ, რისი შემძლენი ვართ? კორეელები შეგვპირდნენ, რომ ასეთ გაანგარიშებას გაგვიკეთებენ...

* * *

არანაკლებ საინტერესო იყო ნომრის სტუმრების ზოგადი სამხრეთკორეული შთაბეჭდილებები, რომელთაც ადგილის სიმცირის გამო, ასევე ზოგადად მოგაწვდით. სტუმარ-მასპინძლობა, სამზარეულო, სასმელები, სადღეგრძელოები ჩვენნაირი (ცოტა ზომიერი) და ჩვენზე უკეთესი სცოდნიათ, მაგრამ დისციპლინა? შრომის კულტურა? უფროს-უმცროსობის ინსტიტუტი? საკუთარი ქვეყნის აყვავების სურვილი? — სეულში სიგარეტის ერთ ნამწვავს ვერ მოკრავთ თვალს, ხალხიც მშვიდად ცხოვრობს, სეირნობს და ავტომატის კანონადაც არ აფორიაქებს ვინმეს თურმე. ეს ქვეყანა ყველამ უნდა ნახოს, რათა ისწავლოს, როგორ უნდა ბრძოლა, შრომა და ცხოვრება, — ასეთია ჩვენი სტუმრების აზრი. ისიც სათქმელია, რომ „ეკონომიკური სასწაულის" ქვეყანაში საქონლის ფასები მეტად მაღალი ყოფილა, თუმცა, სამხრეთკორეულ ნაწარმს სხვა ქვეყანაში უფრო იაფად იყიდის კაცი, ვიდრე, დავუშვათ, სეულშიო. ასეა, კაპიტალისტებმა იციან კონკურენციისაგან მოგების მიღების ფასი.... ჩვენი რესპუბლიკის მცხოვრებნი, ცოტა მაინც რომ დავამშვიდოთ, ბარემ, აქვე გამოგიტყდებით: სამხრეთ კორეასაც ჰქონია ერთი დიდი პრობლემა — ბინის პრობლემა. თუმცა, თბილისელებს ვერც ამით გააკვირვებ.

...მაშ ასე, წარმატება ვუსურვოთ ქართველ კავშირგაბმულობის მესვეურთ.

რაც შეეხება ТДХ-10-ს, ამ სატელეფონო სისტემის ფანტასტიკური შესაძლებლობების შესახებ როგორმე სხვა დროს გიამბობთ.

ზაურ მაკარაძე.

საქართველო-თურქეთი:

თანამშრომლობა იუნესკოს ეგიდით

დამთავრდა თურქეთში საქართველოს რესპუბლიკის იუნესკოს საქმეთა ეროვნული კომისიის დელეგაციის ვიზიტი. იგი იქ იმყოფებოდა თურქეთის ანალოგიური ეროვნული კომისიის მიწვევით. ვიზიტის დროს განიხილეს ამ ორი ორგანიზაციის თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების პროექტი.

როგორც საქინფორმის კორესპონდენტს საქართველოს ეროვნული კომისიის თავმჯდომარემ პეტრე მეტრეველმა აცნობა, ხელშეკრულების პროექტში შევიდა ყველა საკითხი, რომლებიც იუნესკოს კომპეტენციის სფეროშია,— კულტურა, განათლება, მეცნიერება. გადაწყვეტილია მოაწყონ სამეცნიერო კონფერენცია თურქეთ-საქართველოს კულტურული კავშირურთიერთობის პრობლემებზე, დაიწყონ ერთობლივი მუშაობა ისტორიისა და კულტურის ძეგლთა რესტავრაციის დარგში, ერთად იშრომონ საბიბლიოთეკო საქმის განვითარებისათვის. მხარეებს განსაზღვრული აქვთ გააფართოვონ მუშაობა საარქივო დოკუმენტების გამოკვლევისათვის, ერთად შექმნან სახელმძღვანელოები, უპირველეს ყოვლისა, ისტორიის დარგში.

ჩვენ გულთბილად და გულითადად მიგვიღეს, აღნიშნა მეტრეველმა. თურქეთში დიდ ინტერესს იჩენენ საქართველოს სამეცნიერო პოტენციალისადმი, მისი სამეცნიერო სკოლებისადმი, ერთობლივი პროექტების გაფართოებისადმი.

ანკარაში ვიზიტი ჩვენი კომისიის მუშაობის ნაწილია, რომელიც დიდ ყურადღებას უთმობს შავი ზღვის რეგიონის სახელმწიფოთა პრობლემებს. ახლახან ჩვენ ვიყავით ირანში, სადაც დავსახეთ იქაურ კოლეგებთან თანამშრომლობის კონკრეტული სფეროები. შემდეგი პუნქტია ათენი.

BUSINESS DIARY
საქმიანი დღიური
ბიზნესმენის საქმიანი ატრიბუტიკის აუცილებელი ნაწილია
დღიური ორენოვანია
(ქართულ-ინგლისური)
საქმიანი დღიური კარგი საჩუქარია
ქართველი და უცხოელი
ბიზნესმენებისათვის

დღიურის საცალო გაყიდვა
წარმოებს
თბილისის წიგნის მაღაზიებში
ორგანიზაციებს დღიურის შეძენა
შეუძლიათ გადარიცხვით
მინიმალური პარტია - 30 ცალი

☎ 98 74 00, 98 73 99
თბილისი 8, ნ. ნიკოლაძის ქ. 7
საქართველოს საგამყოლო
სამსახური
Caucasian Travel Ltd.
და
ფირმა - Art Atrium Co.

დღიური შედგება ოთხი ძირითადი ბლოკისაგან

- კალენდარული ბლოკი
1. პერსონალური და საქმიანი სააპლიკაციო ფორმა
2. 1993 წლის კალენდარი (თვეები)
3. 1993 წლის საეკლესიო დღესასწაულები და მნიშვნელოვანი თარიღები
4. ზოდიაქოს ცხრილი
5. 1993 წლის ყოველთვიური დაგეგმვის სააპლიკაციო ფორმა
6. 1993 წლის ყოველკვირეული კალენდარი, მთვარის ფაზებითა და დაგეგმვის სააპლიკაციო ფორმით
7. 1994 წლის კალენდარი (თვეები)
8. 1993 წლის ყოველდღიური კალენდარი დაგეგმვის სააპლიკაციო ფორმით (1992 წლის 28 დეკემბრიდან 1994 წლის 2 იანვრის ჩათვლით)

- მონაცემთა ბაზა, საქმიანი ფორმები
1. ქ.თბილისის სატელეფონო მცირე ცნობარი (პირველადი დანიშნულების აბონენტები, სასტუმროები, რესტორნები, ვაგზლები, სალაროები და ა.შ.)
2. საქართველოს საავტომობილო გზების რუკა
3. საქართველოს ქალაქებს შორის მანძილის მაჩვენებელი ცხრილი
4. სატრანსპორტო განრიგი (სააპლიკაციო ფორმა)
5. თბილისის სქემა, მეტროპოლიტენის სქემა
6. ა) საქართველოს საქალაქთაშორისო ავტ. სატელეფონო კავშირის კოდები
ბ) ყოფილი სსრკ რესპუბლიკების ქალაქების ავტ. სატ. კავშირის კოდები
7. მსოფლიოს ქვეყნების ცხრილი ავტ. სატელეფონო კავშირის საერთაშორისო კოდებით, (საათობრივი სხვაობისა და დედაქალაქების აღნიშვნით)
8. სხვადასხვა ვალუტის ამერიკულ დოლართან შედარებითი კურსის ჩასანიშნი კალენდარული სააპლიკაციო ფორმა
9. ამერიკული დოლარის გაყიდვისა და შესყიდვის ფასების ჩასანიშნი სააპლიკაციო კალენდარული ფორმა
10.შემოსავლისა და გასავლის ჩასანიშნი სააპლიკაციო კალენდ. ფორმა.
11.ზომის, წონის, მოცულობის ამერიკული და ინგლისური ერთეულების მეტრულ ერთეულების სისტემაში გადამყვანი ცხრილი.

- მისამართებისა და სატელეფონო ბლოკნოტი
1. ქართული ალფაბეტური ბლოკი
2. ინგლისური ალფაბეტური ბლოკი
3. სავიზიტო ბარათების ჩასანიშნი სააპლიკაციო ფორმათა ბლოკი

- სარეკლამო ბლოკი

რევაზ მიშველაძე

სამი ნოველა

ვუძღვნი აფხაზეთში დაღუპული ჩვენი შვილების ხსოვნას

გეხვეწები, არ ჩამოხვიდე

მამა!

მე ამ წერილს სოხუმიდან გწერ.

ჰოსპიტალში ვწევარ. დაჭრილი ვარ ბარძაყში და მუცელში — მარჯვენა მხარეს.

ერთი ოპერაცია გამიკეთეს, მაგრამ რაღაცა დაჩირქდაო და მეორეც უნდა გამიკეთონ.

ჩემზე არ იდარდო. მე კარგად ვარ.

ფეხის თითებს ჯერჯერობით ვერ ვამოძრავებ, მაგრამ ექიმი ამბობს, მალე ყველაფერი კარგად იქნებაო.

აქ ყავარჯნებს დამპირდა ერთი. თუ მიშოვა და ფეხზე დგომა თუ შევძელი, გადმოვფრინდები თბილისში და მანდ გავაგრძელებ მკურნალობას.

აქაც კარგი ექიმები არიან, მაგრამ თბილისში უკეთესი საშუალებებიაო.

რომ ჩამოვალ, გეხვეწები, ჩხუბი არ დამიწყო.

შენ კაცურად უნდა გამიგო.

დედას ამ წერილს ნუ აჩვენებ.

არ დამავიწყდეს!

ამ წერილს მიშკას ვატან. ხომ გახსოვს მიშკა, ჩემი კლასელი. ვიცოდი რომ აქეთ იყო, მაგრამ ჩამოსვლის დროს ვერ ვიპოვე. ტამიშთან კანტუზია მიუღია და სანიტარულ ბატალიონში გადაუყვანიათ.

ჰოსპიტალში შევხვდით.

დაჭრილი რომ მნახა, თავიდან ცოტა შეეხარბა, მერე ცოტა შეეშინდა და სასთუმალთან არ მომცილებია.

პატივი ეცით. მაგასაც ჩემსავით ლიმონათი და ბლინები უყვარს.

ორ დღეს იქნება თბილისში და მერე ჩამოვა. იცოდე. შენ არ ჩამოუყვე, თორემ ხმას აღარ გაგცემ ჩემს სიცოცხლეში.

აქ მშობლების გამოჩენა არ შეიძლება.

ერთ დაჭრილს დედამ ჩამოაკითხა და მთელი ჰოსპიტალი დასცინოდა.

მიშკა რომ წამოვა, გამოატანეთ ძველი სათამაშო ხელის კომპიუტერი. ახალი არ გამოატანოთ, თორემ აქ მომპარავს ვიღაცა და, კიდევ, გამოატანე შენი სქელი, სანადირო ორენიანი ქამარი.

ხომ იცი, მაგ ქამარს რამდენი ხანია გეხვეწები. შენ რაღად გინდა. აწი შენ სანადიროდ მაინც აღარ დადიხარ.

მიშკას პატივი ეცით.

ახლა ჩემი დაჭრის ამბავი:

ჯერ იყო და თბილისიდან ძლივს გამოვფრინდი. ამ რეისით მოხალისეები არ მიგვყავსო. უკან დამბრუნებელი მე არ ვიყავი და სიბრაზისაგან გული კინაღამ გამისკდა.

არ გეწყინოს, რომ გამოვიპარე. სულერთია, შენ მაინც არ გამომიშვებდი.

ეშმაკობა აქაც გამომადგა.

გვარდიის მაიორს ფუთა გამოვართვი; მე აგატანინებ მეთქი და ლაპარაკ-ლაპარაკით ავყევი ტრაპზე.

თვითმფრინავი გულრიფშში დაფრინდა.

იქ კაციშვილს აღარ შევუმოწმებივართ. სადაც გამეხარდებოდა, იმ ოცეულს შეუერთდებოდი.

ავტობუსით მიგვიყვანეს ეშერას ხაზამდე.

იქ თითო კონსერვი და შავი პური დაგვირიგეს და კარვებში დაგვანაწილეს.

კარავში ჩემს გარდა რვა ბიჭი იყო.

ავტომატს როდის მომცემთ მეთქი, რომ ვკითხე, სიცილი დაიწყეს. აქ ავტომატს ვინ მოგცემს, თბილისიდან უნდა წამოგეღოო.

სიბრაზისაგან კინაღამ ტუჩი მოვიჭამე.

მივედი ოცმეთაურთან, შენი ნასტუდენტარი აღმოჩნდა — სინაურიძე.

აქ როგორ მოხვდიო.

როგორ და კარგად, მოხალისე ვარ მეთქი.

სროლა იციო?

ვიცი-მეთქი. ავტომატის სროლას რა ცოდნა უნდა. თითი დააჭირე და თვითონ გარეკავს.

რა გიყო ახლა. წინა ხაზზე შენი გაშვების უფლება არა გვაქვსო.

ჩვენი ბიჭები არ იჩივლებენ და აფსუა-ჩეჩნები, მე მგონია, ჩემს მეტრიკაში არ ჩაიხედავენ მეთქი.

ჯერ აქ იყავი, გამოჩნდება რაღაცა. იარაღი უნდა შემოიტანონ, გვპირდებიან, ერთი სიტყვით, უიარაღოდ არ დაგტოვებთო.

პირგამშრალი დავბრუნდი კარავში.

შუაღამემდე არაყი ვსვით. ღამის თორმეტ საათზე მორიგეობა უწევდათ. გასვლის დროს მაქედან წამოღებული შენი ბებუთი (არ გეწყინოს და დავკარგე სადღაც. შეიძლება, რომ დავიჭერი, მაშინ ამაცალეს) ჩამოვიკიდე და მივყევი!

შენ დარჩი, უიარაღო ხარო, სერჟანტმა.

მთვრალი იყო.

მაინც წამოვალ ვიმორიგევებ, აქ რა ვაკეთო მეთქი.

დაიძინეო.

არ მეძინება მეთქი.

მართლა არ მეძინებოდა.

მაიორმა ხელაძემ თავისი ავტომატი დამითმო; ჩემს მაგივრად იმორიგევოს, მე თავი მტკივა და დავრჩებიო. ერთხელ მაინც გამოვიძინებო.

რვავე ნაბიჯზე, მანდარინის ბაღში ჩავჭექით და ეს იყო სულ ჩვენი მორიგეობა.

ერთმანეთს გადავძახ-გადმოვძახებდით. ვხუმრობდით.

რაც იმ ღამეს მანდარინი ვჭამეთ.

გამთენიისას ცოტა ჩამთვლიმა და ავტომატის ჯერმა გამომაღვიძა.

ჩემგან მეოთხე მანდარინის ბუჩქიდან ვიღაცამ ჰაერში ისროლა.

იქეთა მხრიდანაც ავტომატით გვიპასუხეს.

ასე არ უნდაო და ბათქა-ბუთქი ავტეხეთ.

ვესროდით ეშერისკენ — ბეს, ბალახს, მინდორს. კაცს ვერ ვხედავდით, ვერ მოვატყუებ.

სინაურიძე (შენი ნასტუდენტარი) მოვარდა და სულ დედის გინებით ჩაგვაჩუმა. სადა გვაქვს ტყუილად დასაწვავი ტყვია-წამალიო.

დილით ჩვენმა ცვლამ ერთი საათით დაიგვიანა.

რომ არ დაეგვიანა, არ დავიჭრებოდი.

სანგრიდან სამნი გამოვედით და სიგარეტს ვეწეოდით. თურმე მტერი გვხედავდა.

მერე მითხრეს, ჩვენგან მეტრნახევარში დავარდნილა ყუმბარა.

ერთი ბიჭი, ვინც ჩვენთან იდგა, მაშინვე მომკვდარა საწყალი — გელანტია თბილისიდან, მითხრეს ტელევიზორშიც გამოაცხადესო.

მე და მეორე ბიჭი გადავრჩით.

ის ჩემთან შედარებით მსუბუქადაა. ქუთაისში წევს. წერილი მინდა მივწერო, მაგრამ სახელი არ ვიცი. გვარად ხურციძეა.

მე გრძნობა დამიკარგავს და მეორე დღეს მოვსულვარ აზრზე.

სისხლს და კიდევ რაღაც-რაღაცეებს მისხამენ ვენაში. ხანდახან წამალი ალერგიას მაძლევს და ნემსს მიკეთებენ.

როგორც კი ნემსს გამიკეთებენ, ტანზე ფორეჯები და სახეზე სიწითლე მიქრება.

ეს არის სულ ჩემი ამბავი.

მიშკას პატივი ეცით.

ეს წერილი დედაჩემს არ აჩვენო.

ნათიამ თუ დარეკოს, უთხარით უნივერსიტეტიდან ახალციხეში პრაქტიკაზე წაიყვანესთქო.

მისამართი და ტელეფონი ჯერ არ ვიცითთქო.

შენ არ შეგეშინდეს.

ახლა კარგად ვარ.

ჩემს თავს გაფიცებ, არ ჩამოხვიდე.

მიშკას წერილი გამოატანე“.

ეცადეთ არ მოკვდეთ

უქმური, თოვლჭყაპიანი, მტირალა ამინდი იდგა. გზას ორივე მხარეს ეხატა ყვითელ მიწასა და თოვლში აზელილი მუხლუხოების კვალი.

ტალახი ისე გაბატონებულიყო ეროვნული გვარდიის № (სამხედრო საიდუმლოებაა!) ბატალიონის ყაზარმების ირგვლივ, რომ მენანებოდა ციდან, ლამის, თეთრ ფარდად დაშვებული თოვლი, სახურავებზე და მაგნოლიების სქელ ფოთლებზელა რომ იკიდებდა ფეხს.

სანამ მოგროვდებიან, ცოტახანს აქვე გავივლი-მეთქი, ვუთხარი ჩემს გამყოლ შავწვერა მაიორს და აღარ დავუზუსტე, რომ „ბტრ“-ის თეთრმა კვამლმა ბებერი მანქანის სალონში რომ ტრიალებდა, თავბრუ დამახვია.

ნაპირს ხუთნი ამომყვნენ. ტურისტთა ყოფილ კლუბს რომ დაუახლოვდნენ. ავტომატები აქამდე რომ შეშის ნაჭრებივით ეჭირათ, მხარზე გადაიკიდეს, კოზიროკიანი, რუხმწვანე ქუდები გაისწორეს და ვერცხლისფერ ცისტერნასთან შემდგარს მშვიდად მომაჩერდნენ.

— გამარჯობათ, ბიჭებო.

— სალამი.

— რა ამბავია იქეთ?

ამ დროს არ ისვრიან... საერთოდ... შუაღამისას, ან ალიონზე.

ახლოს მივედი და სათითაოდ ხელი ჩამოვართვი.

— რამ შეგაწუხათ?

— მწერალიაო, რაღაცას გვეტყვის ალბათ.

— კაი ერთი თუ ძმა ხარ, საქმე არ გქონდათ? რა დროს მწერალია ამ ყიამათში.

— რატომ... რამე ახალი ეცოდინება. გამოვყრუვდით ამ ბათქაბუთქში.

ნახევარი საათიც და კლუბში ორმოცამდე მებრძოლი მოგროვდა.

სხედან ისინი ჩემს წინ, ავტომატების ტარზე ნიკაპდაყრდნობილები. დაღლილი, გაწამებული სახეებით. თუ უხდება ვინმეს შავი წვერი ისე, როგორც სახემოღვრემილ ქართველ ვაჟკაცს. ეწევიან, ახველებენ. მშვიდად, მდუმარედ შემომცქერიან. ხვეული მაზარების მქისე სუნი დგას ირგვლივ.

რა ვთქვა ახლა. რითი დავიწყო. „ნება მომეცით ქართველი მწერლების სახელით მოგესალმოთ...“ გაცვეთილი და პათეტურია.

„თქვენ ჭეშმარიტი გმირები ხართ, თქვენში გაცოცხლდა გიორგი სააკაძის და სამასი არაგველის სული!“ „მყვირალა და თეატრალურია.

პირველი ფრაზის თქმა ასე ჯერ არ გამჭირვებია.

კარგა ხანს მდუმარედ შევცქეროდით ერთმანეთს და ბოლოს თავდახრილმა, ყელგამშრალმა ამოვილაპარაკე:

— აბა, რა გითხრათ. ჩემი გვარი მიშველაძეა. პატარა-პატარა ნოველებს ვწერ, თუ სადმე მოგიკრავთ თვალი... ლამაზად ლაპარაკის დრო არ არის ახლა. თქვენი საქმე თქვენ იცით. მე ერთადერთი სათხოვარი მაქვს: ეცადეთ, როგორმე არ მოკვდეთ, ბიჭებო!

ვიღაცამ გაიცინა, და იმ წამსვე მოგუდა სიცილი. ვიღაცამ ამოიოხრა. ვიღაცამ — მაგას ვერ დაგპირდებითო, ჩაილაპარაკა. და ერთბაშად დათბა დარბაზში. თითქოსდა, უეცრად ახლოს მოვედით ერთმანეთთან. რომ იცოდეთ, რა უცხო ვიქნებოდი მათთვის თავი რომ ამელირა და; აბა თქვენ იცით, არ დათმოთ არც ერთი გოჯი სამშობლოს მიწა-მეთქი რომ მეთქვა.

მერე ერთი-ორი ეპიზოდი გავიხსენე ჩემი აბურდული ცხოვრებიდან. რაღაც-რაღაცეები მკითხეს, გაირკვა, რომ მე უფრო მაინტერესებდა მათ შესახებ და დავღალე მასპინძლები შეკითხვებით. ბოლოს ტელეფონები ჩამაწერინეს; აქა და იქ დარეკე, მოკითხვა გადაეცი. ცოტა გავიხუმრეთ, ცოტა წავიკამათეთ და დავიშალეთ.

კართან გამწკრივდნენ. ჯერ თქვენ გაბრძანდითო. ვისაც მივწვდი, ხელი ჩამოვართვი. დერეფანში გამხდარი, მიმინოსცხვირა, თვალებადქცეული ბიჭი გამომყვა:

— მადლობელი ვარ, პატივცემულო. არ მოკვდეთო. არავის არ უთქვამს ჯერ ჩვენთვის. მე, მაგალითად, ცხრამეტი წლის ვარ. ცოლი არ მყავს. არც საცოლე მყავს ჯერ. ჯგერენაია ვარ სენაკიდან. ტყვედ ვიყავი გუდაუთაში და მეცინიან ხანდახან ბიჭები. ვინ იცის, რანაირად გექცეოდნენო, უშნო ხუმრობა იცის ზოგმა. ვერ ავიფეთქე თავი და რაკი არ მოვკვდი, არ ვარ არაფერი? ისე ნამდვილად გეტყვით, გლახად არ მოგვქცევია არავინ. ვიყავით ტყვეები და ხომ არ მოგვეფერებოდნენ, მარა დამცირება არ დაუწყია იქ არავის. ახლა ერთი სათხოვარი მაქვს თქვენთან. ეგება ტელევიზორში გამოაცხადებინოთ: „ნანული სხულუხიას მებრძოლი ხვიჩა ჯგერენაია დაბადების დღეს ულოცავსთქო“. აქ წერია ყველაფერი. ამ ორ-სამ დღეში თუ გამოაცხადებენ თვარა, მერე აღარა აქვს მნიშვნელობა.

— აკი საცოლე არა მყავსო? — თვალი ჩავუკარი და წერილი უბეში შევინახე.

— არის ერთი. ჯერ თვითონ არაფერი არ იცის. ვერ მოვასწარი თქმა.

...მეორე დღეს დავბრუნდი თბილისში. აეროპორტიდან პირდაპირ ტელესტუდიაში გამოვიარე. ჩემს ყოფილ სტუდენტს, გულისხმიერ ჟურნალისტს გია პაპუაშვილს (მორიგე იყო) შევეღმერთე: ამაღამ როგორმე ეს უნდა გამოაცხადოთ მეთქი და წერილი გადავეცი. გიამ პირობა მომცა და სიტყვა არ გატეხა.

გავიდა ათი დღე და „მარადიული ხსოვნის“ რუბრიკის ქვეშ ცხრამეტი წლის ბიჭის სურათი დაიხატა ეკრანზე. ეს ნაღვლიანი თვალები, ეს მიმინოს ცხვირი. ღმერთო, საიდან მეცნობა.

„ხვიჩა ჯგერენაია ვაჟკაცი იყო და ვაჟკაცურად წავიდა. მსუბუქი იყოს მისთვის მშობლიური ქვეყნის მიწა!“

ღმერთო!

ლეკვი

გულახდილად გეტყვი, პატივცემულო, რომ მცოდნოდა, ამდენხანს მოგვიწევდა ლტოლვილობაა, თუ რას ეძახიან ამ ჩვენს უბედურ მდგომარეობას, არავითარ შემთხვევაში არ გამოვიქცეოდი. ვიქნებოდი იქ და, რაც მომივიდოდა-მომივიდოდა. დაგვხოცავდნენ და დაგვხოცავდნენ, მეტი ხომ არაფერი. იქვე, ჩემს ეზოში სადმე მივიმალებოდი და ერთ ქვას მაინც ვდრუზავდი ზურგში მომხტარ, უნამუსო გადამთიელს.

მე რა ვიცოდი, რა ნელ ცეცხლზე ხარშვა ყოფილა გამოქცეულის და ხიზანის მდგომარეობა. რანაირადაც არ უნდა ეცოდებოდე, ასე კი არ გიყურებს ის კაცი. შენც გეტყოდნენ ალბათ, ჯერ თუ ვერ გაგიბედეს, აწი გეტყვიან. ჩვენ ბევრჯერ გაგვაგონეს და იმიტომ ვამბობ, მე კი არ მომიგონია ეს, ჩემი ორი ობოლი მომიკვდეს მაშინ. რამდენ ხანს შეიძლებაო სასტუმროში მაგნების ყოფნაო. დააოხრეს ეს ძვირფასი სასტუმრო, ადამიანს აღარ შემოესვლება, რა არის ბოლოსდაბოლოს.

ვისაც ამ სასტუმროს ფოიეში თვალგამოლამებულს და ხელგაწვდილს უხაროლეს ჯდომა, შინ მიბრუნება არ ალირსოს გამჩენმა, მარა ვინ იცოდა, ვის უნდოდა ეს.

ჩემი ქმარი და მამამთილი ეზოში ნარდს თამაშობდნენ, სროლა რომ ატყდა. შეიყვანე სახლში ბავშვები და ჩაკეტე შიგნიდან კარები, არ შეგეშინდესო, ამის დაძახება მოასწრო მამამთილმა და იქით გაიქცნენ ორივენი, ა ზევით, რუსთაველის ქუჩაზე. მერე მე ისინი თვალით აღარ მინახავს. დახოცილები იქნებიან და ჩაყრილი სადმე. რად უნდა ამას ლაპარაკი. მიჩერებული ვარ დღედაღამე ტელევიზორს, ეგება, სადმე მოვკრამეთქი თვალი ან ერთს, ან მეორეს (დედამთილი არ მყავს. ჩემს მოყვანამდე გარდაიცვალა ცხონებული). მეტი არაა ჩემი მტერი, მე ისინი ველარ ვნახო. ერთი უნდა გითხრათ კიდევ, რა გაუჭირდა ჩვენს მთავრობას, სამი თვე, ნიუჟელი, ერთი სურათი ვერ გადაუღო გაგრას, ტელევიზორში ერთი წამით მაინც რომ ეჩვენებინა. აქ თვალით მნახველი არავინაა, ვატყობ სახეზე. ზოგი ამბობს — ყველა ქართველის სახლი დაწვესო, ზოგი — ყველა არაა დამწვარიო. ვკითხულობ, სიტყვაზე, მაგალითად — შეიძლება სამი თვე ვერ გაიგო ადამიანმა სახლი დამწვარი გაქვს თუ არა?

ამდენი ხნით კი არა, მე მეგონა, სამი-ოთხი საათით გავრბივართ, დამთავრდება ეს ჩხუბი და მოვბრუნდებით უკან, ჩვენ ვინ რას გვერჩისმეთქი.

იმას ვუყვებოდი; ჩავკეტე ბავშვები სახლში. ვარ ყურმიდებული კარებზე. ისმის სროლა და გრუხუნი შორს. შორს მეგონა მე და აგერ ყოფილა ყურისძირში.

დამიბრახუნა მეზობლის ქალმა. მარგუშა. გამოდით სასწრაფოდ, გამოიყვანე ბავშვები. მოვიდნენ უკვე, გავრბივართ ყველანიო.

არიქა! არიქა! საით გავიქცეთ, რა წავიღოთ, საიდან მოდიან?! ვსტაცე ხელი ვითომ, რაც მომხვდა ხელში. დავრბივარ გადარეულივით. დამსდევენ ბავშვები. ბიჭი შვიდისაა, გოგო — ხუთის. ყველი და პური ჩავიგდე ტომსიკაში. ბავშვებმა იციან მოშივება და სანამ მოვბრუნდებოდეთ, ვაჭმევმეთქი.

გავაღე ჭიშკარი. გარბის ხალხი ტკაპატკუპით. ჩანთები, ჩემოდნები, ხურჯინები მიაქვს ზოგს. შემოვტრიალდი, საქათმე გავაღე და გამოვუშვი ქათმები, ისე, ა, დაბნეული რომ იქნები, თორემ რამ გამახსენა ქათმები.

ჩქარა, ჩქარაო, ყვირიან მეზობლები და უკან იყურებიან, იქით, ქუჩის ბოლოში, ორ-სამ ადგილას ცეცხლი ავარდა.

რას წამოიღებ. შევირბენ სახლში, შევფუთავ ტანსაცმელს, მოვირბენ ჭიშკრამდე. რად მინდა ეს ტანსაცმელი მეთქი. მივირბენ უკან. გადავყრი ტანსაცმელს, ჩავყრი ფუთაში ხახვს, ყველს, ნიორს... ვის უნდა ნიორი, სადაც მივალთ, იქ ექნებათ მეთქი. მოვტრიალდები, ისევ მოვხვეტავ რაღაცას. ყველა ოჯახშია ცოტა რამე. პუდრი მედო სარკესთან და ის წამომიღია, მე სულელს ერთი-ორი ბეჭედი მქონდა და ორი კაპიკი ფული — დამიტოვებია და პუდრი წამომიღია. ასე იცის შიშმა და სიჩქარემ.

მივრბივართ მგლის დაფეთებული ნახირივით. კვნესის ეს გოგო, თან პლაშის ქვეშ რაღაცას მალავს. რა არის მეთქი, გოგო, ეს? ლეკვი გვყავდა, ბროლია, სამი თვის არც იყო ჯერ. ამოუღლიავებია და მოათრევს. გადააგდე ახლავე, შე არდასაცალებელო, ლეკვის თავი გვაქვს ახლა ჩვენმეთქი? დავუცაცხანე და ქიჩავ-ქიჩავით გადავაგდებინე, რავარც იქნა. ამის სახე რომ გენახათ მაშინ, სასურათე იყო პირდაპირ. ისეთი იღრიალა, მოუკვდეს დედა, რომ შემეშინდა, პირი არ გაეხეს მეთქი.

დღემდე ვერ მოუნელებია. დღემდე იმ ლეკვს მისტირის. ლამაზი კი იყო საწყალი.

ქუჩის პირას გაზონში დავსვით, მარა იქ ხომ არ გაჩერდებოდა. ვერც სახლში მიბრუნდებოდა. პატარა იყო

ნახავდა ვინმე და წაიყვანდა, ან შეიძლება, ფეხიც კი დააბიჯეს და გახრისეს სირბილში და რიარიაში.

მხატვარი კარლო ფაჩულია.

პოეზია უპირველეს ყოვლისა

მზია ხეთაგური

კიდევ ბევრჯერ...

კიდევ ბევრჯერ ვიცინებთ და ვიოხუნჯებთ,
კიდევ ბევრჯერ ვერ დავფარავთ ცრემლს,
ეჭვით სავსე დაგვაბერტყა თავს ხურჯინი
ბედმა შარშან, შარშანწინ და წელს.

კიდევ ბევრჯერ აყვავდება ალუჩები,
კიდევ ბევრჯერ გავიხსენებთ ძველს,
მაგრამ ერთხელ ვერა და ვერ გადვურჩებით
ბალახივით ჩვენს გასათიბ ცელს...

კიდევ ბევრჯერ შეგვახვედრებს ბედი მაისს,
კიდევ ბევრჯერ ვერ მოვძებნით ჭერს,
კიდევ ბევრჯერ, კიდევ ბევრჯერ... მაგრამ მაინც
ერთმანეთი ვერ გვეთმობა ჯერ!

კიდევ ბევრჯერ გაიმეტებს მოარული
ჭორიკანა ტალახსა და მტვერს,
კიდევ ბევრჯერ ვისაკლისებთ მოყვარეს და
კიდევ ბევრჯერ წავაწყდებით მტერს.

კიდევ ბევრჯერ...
მაგრამ ერთხელ სულში ეკლით
გადიხსნება ვარდისფერი გზა,
როს ერთ-ერთი ჩვენთაგანი ჩამორეკავს
სულ პირველ და უკანასკნელ ზარს.

ჩემი ჰოროსკოპი

(ძაღლის წელი, თევზის თვე)

სიკვდილი უცებ სულ გაგამართლებს...
სიკვდილს როლი აქვს სანდო ვექილის...
ძაღლი ვარ. ნეტავ მალე ჩავძაღლდე
ამ ჯაჭვით კისერგადაქექილი.

ნეტავ საკუთარ ფხას წამოვეგო,
ვიდრე დამჭრიდეთ შხამიან წვეტით...
თევზი ვარ. ნეტავ აორთქლდებოდეს
აქვარიუმში ეს ბოლო წვეთიც.

შენ გაიმარჯვე...

შენ გაიმარჯვე: სული ჩემი მწარედ აკვნესე.
ამ გულს შხამივით დაეფრქვია შენი მცდელობა,
ოქროს თევზივით წამოვეგე მაცდურ ანკესზე,
რადგან შენსავით ვერ შევიძელ ლორმუცელობა.

შენ გაიმარჯვე: აღარ ვცდილობ, ვიყო ლამაზი,
აღარ მახარებს სიყვარულის გამობრწყინება...
შენთან რას მოვა მტაცებელი სულის ავაზა! —
მას მოსწყინდება სისხლი, შენ კი — არ
მოგწყინდება.

შენ გაიმარჯვე: მწიფე პანტა ლორის წილია.
შენ გაიმარჯვე: სხივი მზისა ალმაცერია...
ჩემი ხსნა ახლა უსიზმრებო მკვდარი ძილია,
ყველა აღსრულდა, ბედის წიგნში რაც მიწერია.

შენ გაიმარჯვე, რადგან შენი ბედნიერება
ამიერიდან ჩემი ცრემლით გაიზომება...
შენ გაიმარჯვე: ეგ მაცდური ჭრელი ფერები
ვით გველის კბენა, სამუდამოდ მემახსოვრება.

შენ გაიმარჯვე... მაგრამ მაინც ვერ გაიმარჯვე,
რადგან, რაც შენთვის ფული არის, ჩემთვის —
ლექსია,
ჩვენი სიცოცხლის დასასრულთან მაინც
იმარჯვებს,
იმ ხანჯლის პირი, ჩემს სამტროდ რომ აგილესია.

შენ გაიმარჯვე: მოგიტევოს შენმა ალაჰმა,
ჩემთვის, თუ ვცოდე, ღმერთის რისხვაც დიდი
ჩინია...
მე შენი ფეხით გათელილი მტკივა ბალახი,
თორემ თივის ზვინს გათელვისა არ ეშინია!

აუქციონი

მონა არა, მაგრამ დიახ, ვარ და ვიყავ
სიკვდილამდე ერთი მეფის მსახური.
რაც მიყვარდა, ვინც მიყვარდა, დღესაც მიყვარს
ხან ხსნილის ჟამს, ხან დღეებით მარხულით...
დიდგვაროვნის ღირსებებით მიზიდია
მეწისქვილის უმძიმესი დოლაბიც
და მას შემდეგ ველი, როდის მიყიდიან
ასი ათას მილიონი დოლარით.
არცა ნივთი, არც სხეული, — მხოლოდ სული
მე გამომაქვს თქვენთან აუქციონზე...
ვერსად ნახოთ მწუხარება უფრო სრული,
უფრო ღრმა და უფრო გრაციოზული.
მისი ფასი იცის მხოლოდ მეფეთ-მეფემ
და მხევალის დედოფლურმა ბუნებამ...
ისევ ტანჯვა მაცოცხლებს და დამაბერებს,
ღირსეული ტანჯვა მესალბუნება!

დაშორებანა

როგორ მიყვარდი... რარიგ ვცდილობდი
ჩვენს შორის ზავს და სულში მშვიდობას...
მყოფნიდა შენი სხივი მცირედიც,
მაგრამ ჩამოდგა უამინდობა.
ზურგი ვაქციე შენს ღრუბელს მაშინ,
დაშორებანას რომ ვთამაშობდით,
შემოგვცქეროდა ლამაზი ბავშვი
შენი სისხლი და ჩემი ნაშობი.
ვერ დამთმე, მოხველ, და გამაოცა
კაცის ცრემლებმა, ცოდვამ კი არა...
სხეულს მიწვავდი ათასი კოცნით,
ღრუბელმაც, თითქოს გადაიარა.
მაინც გავრბოდი. შენ კვლავ მიჭერდი,
არად აგდებდი გაქცევის მიზეზს,
მაშინ გწყუროდი და გჭირდებოდი,
ფრთებს მიკვეცავდი ისევ და ისევ.
დღეს კი... დღეს, მგონი, მართლა ვშორდებით,
აღარ ვთამაშობთ დაშორებანას...
მე, თავისუფალს, მსურდა მაშინვე
ღრუბელი სისხლით ჩამომებანა.
მაგრამ თამაში სულ სხვა ყოფილა
და სულ სხვა — მართლა მარტო დარჩენა...
ერთმანეთისგან უარყოფილებს
ადვილად გვჭრიან ორთავ მარჯვენას.
ვერ შევეჩვიე ამ გულგრილობას,
უცხო ხარ, როგორც გაღმა ბორანი...
უცებ ამტკივდა ყველა ჭრილობა —
ნამათრახევიც, ნაამბორალიც
გაუსაძლისდა უსიტყვო გვემა,
უწინ ხანდახან მაინც ვმღეროდით...
მე უშენობა უნდა მეგემა,
რომ ხელმეორედ შემყვარებოდი.

...მაგრამ ასეთი?!

....მაგრამ ასეთი?!
პოეტს სჭირდება დიდი წამება —
ტანჯვა, ტკივილი და სინანული
პოეტს სჭირდება, ზოგჯერ, წამება,
სჭირდება ჯვარიც და ანანურიც!

ო, ყველაფერი სჭირდება პოეტს,
უძილო ღამეც, გაუსაძლისი....
ზოგჯერ სჭირდება ჭეშმარიტ პოეტს
თვითდაჯერება ტურფა ნარცისის!

სხვა რამ არც მინდა,
არც მსურს,
არც მნებავს —
არ დამკლებია მათგან არცერთი...
პოეტს სჭირდება, ზოგჯერ, წამება!
მაგრამ... ყოველწუთს?!
მაგრამ... ასეთი?!

ამ ტრიალ ქვეყანაზე

გენერალ ჯონ (მალხაზ) შალიკაშვილის ვიზიტი გრძელდება

ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი გენერალი ჯონ (მალხაზ) შალიკაშვილი, რომელიც რუსეთის თავდაცვის მინისტრის მიწვევით მოსკოვში იმყოფება, შაბათს შეხვდება თავდაცვის მინისტრს პავლე გრაჩოვს და მოლაპარაკებას გამართავს მასთან. როგორც იტყობინებიან, ისინი განიხილავენ ნატოსა და რუსეთის შეიარაღებული ძალების თანამოქმედების, აგრეთვე რეგიონული კონფლიქტების მოწესრიგების საკითხებს.,

გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღიათ

გუშინ ეროვნული საბჭოს სხდომის დამთავრების შემდეგ სახელმწიფო მდივანმა უორენ კრისტოფერმა რეპორტიორებთან საუბრისას განაცხადა, რომ შეერთებული შტატების ადმინისტრაციას ჯერ კიდევ არ მიუღია გადაწყვეტილება ბოსნია-ჰერცეგოვინაში შესაძლო მოქმედების თაობაზე და სწავლობს ღონისძიებათა ფართო სპექტრს. „ჩვენ ძალზე რთული და ძნელი სიტუაციის წინაშე აღმოვჩნდით“, — თქვა მან. „გაივლის გარკვეული დრო, ვიდრე მივიღებთ გადაწყვეტილებას“, — დასძინა კრისტოფერმა.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი

დავოსში (შვეიცარია) დაიწყო მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი. 1971 წლიდან მოყოლებული, მსოფლიო ბიზნესის ლიდერები, თვალსაჩინო ეკონომისტები და პოლიტოლოგები უკვე 23-ჯერ შეიკრიბნენ, რათა მრავალი ქვეყნის სახელმწიფოს მეთაურისა და მთავრობის ხელმძღვანელის მონაწილეობით იმსჯელონ აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებზე. ფორუმის მონაწილეები შეეცდებიან მოუსმინონ პლანეტის მაჯისცემას, რათა უფრო სწორი ორიენტაცია აიღონ მსოფლიოს სწრაფად ცვალებად ვითარებაში. ახლანდელი ფორუმის დევიზია „გავაერთიანოთ მთელი ძალები გლობალური გაჯანსაღებისათვის“.

მიიწვიეს ვიზიტად

ლონდონში ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ჯონ მეიჯორის მიწვევით უკრაინის პრეზიდენტი ლეონიდ კრავჩუკი მიმდინარე წლის 9-12 თებერვალს ეწვევა გაერთიანებულ სამეფოს. ეს იქნება უკრაინის სახელმწიფოს მეთაურის პირველი ვიზიტი ინგლისში. ვიზიტის პროგრამა ითვალისწინებს ლეონიდ კრავჩუკის შეხვედრას დედოფალ ელისაბედ მეორესთან, აგრეთვე, მოლაპარაკებას ჯონ მეიჯორთან. პრეზიდენტი ეწვევა ედინბურგს, სიტყვით გამოვა უკრაინაში შექმნილი მდგომარეობისადმი მიძღვნილ სემინარზე, რომელსაც აწყობს ბრიტანეთის მრეწველობის კონფედერაცია.

კრედიტები ესტონეთს

ნიუ-იორკიდან მიღებული ცნობით, ესტონეთმა ისრაელში 50 მილიონი დოლარის ოდენობის კრედიტი მიიღო ამ ქვეყანაში იარაღის შესასყიდად. ამის შესახებ ცნობა ხუთშაბათს გამოაქვეყნა გაზეთმა „ფილადელფია ინკუაირერმა“. გაზეთი აღნიშნავს, რომ ამ ნაბიჯს ესტონეთი უკავშირებს შიშს საკუთარი საზღვრების უსაფრთხოების გამო. გაზეთი ხაზს უსვამს, რომ ესტონეთმა გარიგება ისრაელთან იმ დროს დადო, როცა იგი მწვავე საბიუჯეტო დეფიციტს განიცდის და პრაქტიკულად ჰიპერინფლაციის ზღვარზე ბალანსირებს.

რუსეთის ბიუჯეტის პროექტი

რუსეთის ფინანსთა მინისტრმა ვასილი ბარჩუკმა პარლამენტს წარუდგინა 1993 წლის ქვეყნის ბიუჯეტის პროექტი. შემოსავალი დაგეგმილია 17,5 ტრილიონი მანეთის ოდენობით, ხარჯები — 20,7 ტრილიონი მანეთით. ფედერალური ბიუჯეტის დეფიციტი შეადგენს 3.492 ტრილიონ მანეთს. მინისტრმა აღნიშნა, რომ გაძლიერებულია ხარჯების სოციალური მიმართულება. დიდი ხარჯებია გათვალისწინებული აგროსამრეწველო კომპლექსისათვის.

ამოუცნობი მფრინავი ობიექტები

რუსეთის რადიოს ცნობით გამოუცნობმა მფრინავმა ობიექტებმა მოულოდნელად გააჩერეს საბარგო მატარებელი. ტრანსციმბირის მაგისტრალზე. მემანქანის მტკიცებით, გაჩერების შემდეგ მან დაინახა ორი დიდი განათებული სფერო რკინიგზის ლიანდაგიდან 20 მეტრის სიმაღლეზე. მატარებელი რამდენიმე წუთით შეჩერდა, შემდეგ ამოუცნობმა მფრინავმა ობიექტებმა შეიცვალეს ფორმა, აფრინდნენ ზევით და მიიმალნენ. ამის შემდეგ მატარებელი თავისთავად დაიძრა ადგილიდან, თანდათან უმატა სისწრაფეს და გზა განაგრძო. რადიო იმოწმებს რუსეთის დეპეშათა სააგენტოს ცნობას.

ერთობლივი ლოცვა

მოსკოვის ყოვლადწმინდის ტაძარში ლოცვა აღავლინეს ეკლესიების რუსმა, ქართველმა და აფხაზმა წინამძღვრებმა. ლოცვაში მონაწილეობდნენ აგრეთვე მოსკოვში მცხოვრები სასულიერო საძმოს წარმომადგენლები, რომლებშიც გაერთიანებული არიან მართლმადიდებელი მორწმუნენი საქართველოდან, კერძოდ, აფხაზეთიდანაც. შეკრებილნი ლოცულობდნენ ქართველთა და აფხაზთა სისხლისმღვრელი კონფლიქტის შეწყვეტაზე.

ლოცვას უძღვებოდა მართლმადიდებელ საძმოთა კავშირის თავმჯდომარე მამა კირილე.

ფირმა «გეო»
გთავაზობთ:
კერძო პირებს, კოოპერატივებს,
ფირმებს და სხვა
ორგანიზაციებს.
თუ გსურთ იყიდოთ ან
გაყიდოთ მსუბუქი ან სატვირთო
ავტომანქანები, მოგვმართეთ
ჩვენ. საინფორმაციო ბანკის
საშუალებით შეგირჩევთ
თქვენთვის სასურველ
ვარიანტებს.
ჩვენი მისამართია:
თბილისი, თამარაშვილის 15-ა,
მიწათმოწყობის ინსტიტუტის
შენობა, მე-4 სართული, ოთ. 8.
ტელ. 39-34-25

პრობლემა

ვიდრე საერთოდ გვიან არ არის

აუცილებელია გენეტიკური კონტროლის სისტემის შექმნა

ჩვენი პლანეტის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესებამ კაცობრიობის საფუძვლიანი შეშფოთება გამოიწვია. ცოცხალ ორგანიზმებზე, მათ შორის ადამიანის საცხოვრებელ გარემოზეც, სულ უფრო მეტად მოქმედებენ ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური წარმოშობის მავნე ფაქტორები, რომელთა კონცენტრაცია ისეთია, რომ ცოცხალი ბუნება ვერ ასწრებს გადამუშავებას, ხოლო მსხვილ სამრეწველო ობიექტებზე ავარიების შემდეგ აუნაზღაურებელი ზიანი ადგება. ამ კატასტროფების შედეგად ხშირ შემთხვევაში ნადგურდება კვების ძირითადი წყარო — სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ძვირფასი ჯიშები. ეს იმასთანაც არის დაკავშირებული, რომ ეკოლოგიური დარღვევები, როგორც წესი, დიდ ტერიტორიებზე ვრცელდება.

ჩვენი რესპუბლიკის რთულ რადიაციულ-ეკოლოგიურ პირობებში, რომელიც ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ავარიის შემდეგ კიდევ უფრო გამძაფრდა, შესაძლებელია როგორც ადამიანის, ისე სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა მემკვიდრეობის ერთეულის — გენის სტრუქტურის დაზიანება მაიონიზებელი გამოსხივების მიერ. ცნობილია, რომ მაიონიზებელი გამოსხივების (იმ გამოსხივებისა, რომლის ურთიერთქმედება გარემოსთან ატომებისა და მოლეკულების იონიზაციას იწვევს) ბიოლოგიურად აქტიური ზღვარი არ არსებობს.

გარემოში მუტაგენთა მოქმედებით გამოწვეული გენეტიკური ცვლილებები გავლენას ახდენენ ნებისმიერი ორგანიზმის, მათ შორის ადამიანის სიცოცხლისუნარიანობაზე. გენეტიკური აპარატის დაზიანება იწვევს გენეტიკური ტვირთის (თანდაყოლილი მანკები, მემკვიდრეობითი გენური და ქრომოსომული დაავადებები, ავთვისებიანი სიმსივნეები და სხვა) მკვეთრ ზრდას. დადგენილია, რომ 100 ორსულობიდან თითქმის 20 სპონტანური აბორტით მთავრდება. ემბრიონთა 45 პროცენტის სიკვდილის მიზეზია ქრომოსომული ანომალიები, დანარჩენებისა კი გენური მუტაციები ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს მონაცემებით ბავშვთა 5 პროცენტი იბადება მემკვიდრული დაავადებით (დაუნის სინდრომი, ედვარდსის სინდრომი, გენტინგტონის ქორეა და სხვა), რისი მიზეზიც მავნე ფაქტორთა მოქმედების გამო ერთ-ერთ მშობელში რეპროდუქციის სისტემის დარღვევაა. ქორწინებათა 10 პროცენტი უნაყოფოა. ისეთი მცირერიცხოვანი ერისთვის კი, როგორებიც ქართველები ვართ, მონაცემები მეტად საგანგაშოა და დღის წესრიგში აყენებს იმის აუცილებლობას, რომ გამოვიკვლიოთ გარემოში არსებულ მავნე ნივთიერებათა ოდენობა, ხასიათი და ადამიანის მემკვიდრულ აპარატზე მათი ზეგავლენის უნარი.

ამერიკის შეერთებულ შტატებში, რადიაციის საწინააღმდეგო საშუალებათა სიუხვის მიუხედავად, ხელოვნური რადიაქტიული წყაროებიდან გამომდინარე რადიაციული გამოსხივების გამო, ყოველწლიურად ახალშობილთა 0.05 პროცენტი მუტაციათა მატარებელია. ვფიქრობთ, ძნელი არ უნდა იყოს იმის წარმოდგენა, თუ რა ხდება ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენს რესპუბლიკაში, სადაც რადიოპროტექტორები საერთოდ არ გამოიყენება.

ეს პრობლემის ერთი მხარეა. მეორე ის არის, რომ საქართველოში თითქმის გადაშენებამდეა მისული ადგილობრივი წარმოშობის (აბორიგენული) სასოფლო-სამეურნეო ცხოველებისა და ფრინველის უძვირფასესი ჯიშები, რომლებიც, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ადამიანის ძირითადი საკვებია. ადამიანის სამეურნეო საქმიანობის პროცესში დაგროვილი მუტაგენები არასასურველ გავლენას ახდენენ მემკვიდრულ სტრუქტურებზე. ეს უკანასკნელნი კი, წარმოადგენენ რა გენოფონდის შემადგენელ ნაწილს, შეიძლება განმტკიცდნენ პოპულაციებში და უარყოფითი გავლენა იქონიონ მის შემდგომ ბედზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია სამამულო გენეტიკური კონტაქტის (მონიტორინგის) განსაკუთრებული სამსახურის შექმნა, რომლის ბაზაზეც შემდგომში აუცილებელია გენეტიკური კონსულტაციების ჩამოყალიბება, რაც, ერთი მხრივ, ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებს საშუალებას მისცემს გამოავლინონ „ავადმყოფ“ ქრომოსომათა მატარებლები. მეორე მხრივ კი სამამულო სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს დაუგროვდებათ უმდიდრესი მასალა, რაც მათ ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევს რესპუბლიკაში ჯერ კიდევ არსებული სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა უნიკალური ჯიშების გადარჩენაში.

და ბოლოს, გენეტიკური მონიტორინგის სამსახური ხელს შეუწყობს მთლიანად ბიოლოგიის მეცნიერების განვითარებას საქართველოში.

ირაკლი კობიძე,
გარემოს დაცვის სამინისტროს მთავარი სპეციალისტი, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის“ და საქინფორმის კორესპონდენტები

ამ დღეებში

მოვლენა • ფაქტი • კომენტარი

ბატალიონი „სულს ითქვამს“

ზურაბ ვაშაკიძე.

აფხაზეთში ფიცხელი ბრძოლების შემდეგ კასპის ბატალიონი შინ დაბრუნდა. ახლა ბიჭები დაისვენებენ, ჭრილობებს მოიშუშებენ, ძალებს აღიდგენენ და ცოტა ხანში ისევ ფრონტს მიაშურებენ.

ჩვენ შევხვდით ბატალიონის მეთაურს, გვარდიის მაიორს მევლუდ მამულაშვილს.

— რამოდენიმე საომარ ოპერაციაში მივიღეთ მონაწილეობა — ამბობს მევლუდი, — განსაკუთრებით გამოვყოფდი ტამიშისა და მასზე გამავალი ტრასის გაწმენდას აფხაზი სეპარატისტებისა და მათი დამქაშებისაგან. მძიმე ბრძოლებში ვაჯობეთ მოწინააღმდეგეს, რომელმაც ცოცხალი ძალაც ბევრი დაკარგა და სამხედრო ტექნიკაც.

მეთაური დაწვრილებით ჰყვება ბრძოლის პერიპეტიებს. ტამიშს ოჩამჩირის მხრიდან კასპის ბატალიონისა და ბორჯომის მხედრიონის ბიჭები უტევდნენ მევლუდ მამულაშვილისა და გიგა გელაშვილის თავკაცობით, სოხუმის მხრიდან კი მოწინააღმდეგეს „თეთრი არწივი“ უტევდა.

ტამიშის ოპერაციიდან ორიოდე დღის შემდეგ ჩვენმა მეომრებმა ბრწყინვალე მანევრი განახორციელეს — სოფელ ლაშარას ჩრდილოეთიდან, გაუვალი ჭაობებიდან მოუარეს, ელვისებურად შეიჭრნენ სოფელში და ლაბრა მომხვდურთაგან გაათავისუფლეს. ამ თამამ ოპერაციას ხელმძღვანელობდნენ გენერალი გია ყარყარაშვილი და გვარდიის პოლკოვნიკი ტარიელ შარიფაშვილი. კასპელებისა და ბორჯომელების გვერდით ლაბრას განთავისუფლებისათვის თავგანწირვით იბრძოდნენ „გლდანის საძმოს“ ბიჭებიც.

ახლა კასპელები შინ არიან, თავიანთ სახლებში, ცოლ-შვილთან, მშობლებთან და ახლობლებთან ისვენებენ, ტკივილებს იყუჩებენ, სძინავთ თბილ ლოგინში და აფხაზეთის ქართული ცა და მიწა ესიზმრებათ.

მიენიჭა პრემია

გაიმართა ჟურნალისტთა ფედერაციის პრეზიდიუმის სხდომა, რომელმაც მოისმინა ფედერაციის თავმჯდომარის აკაკი სიხარულიძის ანგარიში ფედერაციის მიერ 8 თვის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ.

სხდომაზე აგრეთვე მოისმინეს ფედერაციის წევრთა აღრიცხვიანობის გადასინჯვისა და მოწესრიგების კომისიის ინფორმაცია, წარმოდგენილი იქნა ფედერაციის ახალი ემბლემის, მოწმობისა და სატიტულო ქაღალდის ესკიზები.

პრეზიდიუმმა ჟურნალისტთა შიდა ქართლის რეგიონული ორგანიზაციის მდივანს, ჟურნალისტ მაყვალა ოქროპირიძეს პროფესიული და მოქალაქეობრივი მოვალეობის პირნათლად შესრულებისათვის ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემია მიანიჭა.

ეს ჩვენი საქართველოა!

თავისუფალი პრესა.

სიმონ კილაძის ფოტო (ფოტოსააგენტო „დრო“).

შეხვედრა შვეიცარულ კინოსთან

ქართველ კინემატოგრაფისტებს ხანგრძლივი და მტკიცე ურთიერთობა აქვთ უცხოელ კოლეგებთან. ახლა საქართველოში სტუმრად არიან შვეიცარელი კინემატოგრაფისტები.

შვეიცარული კინო და ვიდეო ფილმების პროგრამა ორ დღეს იქნება წარმოდგენილი თბილისის კინოსახლში. პირველ დღეს ნახავთ ფრედი მურერის ფილმს „სიმაღლეთა ცეცხლი“, რომელიც შვეიცარული კინოხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშად არის მიჩნეული. მეორე პროგრამაში შედის პიპილოტი რისტის ვიდეოსურათი „მუწუკის პორნო“, პიტერ ფიშლისა და დეივიდ უეისის „ასე მიდის ცხოვრება“ და ნიკოლას ჰუმბერტისა და ვერნერ კენცელის „ნაბიჯი საზღვარს იქით“.

პარალელურად, კვირას, 31 იანვარს, 14 საათზე ქარვასლაში გაიხსნება ახალგაზრდა შვეიცარიელი მხატვრების მიერ მომზადებული გამოფენა „ცოცხალი სურათები მუსიკითა და დიალოგებით“.

პროგრამას დაესწრებიან შვეიცარელი კინომოღვაწენი ფელიქს სტადლერი და სერაფინე კოუსი.

კინოსახლში ფილმები ნაჩვენები იქნება 2 და 3 თებერვალს, 14 საათზე.

ეს პროგრამა საინტერესო იქნება კინემატოგრაფისტთა, პრესის, ტელევიზიის წარმომადგენლების, კინოფაკულტეტის სტუდენტების, მხატვრებისა და ხელოვნების ყველა მოყვარულისათვის.

ლია ხოშტარია.

ნორმაზე ნაკლები ნალექი

ზამთრის ბოლო თვე — თებერვალი საქართველოს ტერიტორიაზე ტემპერატურული რეჟიმით მცირედ განსხვავდება იანვრისაგან. თუმცა საშუალოდ მაინც მასზე რამდენადმე თბილია. მზის სიმაღლის მატებასთან ერთად იზრდება მზის პირდაპირი რადიაცია, რის შედეგადაც იმატებს ჰაერის ტემპერატურა. კლიმატური მონაცემებით, ჰაერის თვის საშუალო ტემპერატურა დასავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში მერყეობს 4-7 გრადუსი სითბოს ფარგლებში, აღმოსავლეთ საქართველოს ბარში 1 გრადუსი ყინვიდან 3 გრადუს სითბომდე, დასავლეთ საქართველოს მთიან რაიონებში, 1400 მეტრზე დაბალ ზონაში 0-დან 4 გრადუს სითბომდე, ხოლო რესპუბლიკის დანარჩენ მთიან და მაღალმთიან რაიონებში 1-დან 6 გრადუს ყინვამდე. ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმი დაბლობ რაიონებში აღწევს 20-27 გრადუსს, აბსოლუტური მინიმუმი — დასავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში იკლებს 8-16, აღმოსავლეთ საქართველოს ბარში 14-25 გრადუს ყინვამდე.

ნალექების რაოდენობა აჭარის სანაპირო რაიონებში მერყეობს 200-დან 210 მმ-მდე, დასავლეთ საქართველოს დანარჩენ რაიონებში 100-დან 150-მმ-მდე, აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე კი 20-50 მმ-ის ფარგლებში.

ჰიდრომეტეოროლოგიის რესპუბლიკურ ცენტრში შედგენილი ამინდის გრძელვადიანი პროგნოზის მიხედვით, მიმდინარე წლის თებერვალში ჰაერის თვის საშუალო ტემპერატურა საქართველოს ტერიტორიაზე მოსალოდნელია საშუალო მრავალწლიურ მნიშვნელობასთან ახლოს.

თვის მეორე ნახევარში შესაძლებელია ტემპერატურის დაკლება ღამით დასავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში 0-5 გრადუს ყინვამდე, მთიან რაიონებში 6-11, მაღალმთიან რაიონებში 12-17 გრადუს ყინვამდე, ქვემო ქართლსა და კახეთში 3-8, შიდა ქართლში, შირაქისა და ელდარის რაიონებში 5-10, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს უმეტეს მთიან და მაღალ მთიან რაიონებში 13-18 გრადუს ყინვამდე.

ამინდი თებერვალში

ნალექების რაოდენობა საქართველოს ტერიტორიაზე მოსალოდნელია საშუალო მრავალწლიურ რაოდენობაზე ნაკლები.

სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ზამთრობისთვის კვლავ დამაკმაყოფილებელი პირობები იქნება. საშიში ტემპერატურა მოსალოდნელი არ არის. მართალია, ნალექები ნორმაზე ნაკლები მოვა, მაგრამ წინა პერიოდებში მოსული ნალექების შედეგად ნიადაგი კარგად არის დატენიანებული.

ქვემო ქართლში აგროტექნიკური ვადებით ითესება საადრეო კარტოფილი. თებერვლის მეორე ნახევარში მოსალოდნელმა ყინვებმა შესაძლოა დაუფარავი სათესლე მასალის დაზიანება გამოიწვიოს.

თებერვალში საქართველოს მდინარეთა წყლიანობა მოსალოდნელია ნორმასთან ახლოს და მასზე მაღალი, მაგრამ მიუხედავად ამისა წყალსაცავებში წყლის მოცულობა მაინც ნორმაზე დაბალი იქნება, რადგანაც ხდება წყლის ინტენსიური ხარჯვა, და ამის გამო წყლის მოცულობა თანდათან მცირდება. ამიტომ საჭიროა წყლის ყაირათიანად ხარჯვა.

იანვარში საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოყალიბებული აეროსინოპტიკური პირობები ხელს უწყობდა სამრეწველო საწარმოების მიერ გამონაბოლქვი მავნე ნივთიერებების სწრაფ გაბნევას, რის შედეგადაც დიდ ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში ჰაერის გაჭუჭყიანების დონე ნორმის ფარგლებში იყო. ჰაერში გამაჭუჭყიანებელი ნივთიერებების მაღალი და ექსტრემალურად მაღალი კონცენტრაციები არ აღნიშნულა.

ნიკოლოზ ბერაძე,
„საქმთავარჰიდრომეტის“ უფროსი.

ნატიფი შამათი

რუბრიკას უძღვებიან: შოთა ინწკირველი და ველიმირ კალანდაძე

მედალოსანი

21 წლის დიდოსტატი ქეთი კახიანი რეიტინგით მსოფლიოში მეათე ადგილზეა. მისი კოეფიციენტია 2420. იგი ორგზის მსოფლიო ჩემპიონია 20 წლამდე გოგონებში. ამ ასაკში ჩემპიონობა ყველაზე პრესტიჟულია და იგი ორჯერ არავის არ მოუპოვებია. თითოჯერ იყვნენ სპასკი, კარპოვი, კასპაროვი, არახამია, მადლი, გალიმოვა... შარშან შემოდგომას, ევროპის გუნდურ პირველობაზე (უნგრეთი), თავის დაფაზე საუკეთესო შედეგისათვის მედლით დააჯილდოვეს. ამჯერად გთავაზობთ ერთ პარტიას ამ ჩემპიონატიდან ისრაელელ საერთაშორისო ოსტატთან.

კახიანი — ციფანსკაია. ძველინდური. დებრეცენი, 1992 წელი. გიორგობისთვე. 1. d4 მf6 2. c4 g6 3. მc3 კg7 4. e4 d6 5. კe2 0-0 6. კg5 h6 7. კe3 მbd7 8. f3 a6 9. მh3 c5?! 10. d5 (ახლა არ შეიძლება 10. ... e6. 10. ... b5. ამ პოზიციაში გაუმართლებელია, რადგანაც e4 პაიკი საკმაოდ კარგად არის დაცული. შავებს უკვე მძიმე პოზიცია აქვთ) 10. ... მe8 11. ლd2 მფh7 12. მf2 e5?! (საეჭვო ღირსების სვლაა. იკეტება g7 კუ. საჭირო იყო 12. ... მc7, ეb8, b5-ის მომზადებით), 13. g4!± (13. h4 f5!) 13. ... ეb8 14. ეb1 ლa5 15. a3 b5 16. c:b5 a:b5 17. b4! ლ:a3 18. 0-0! c:b4 19. მ:b5 ლa5 20. მa7! (ამ სვლის გამო გაკეთდა 18. 0-0!), 20. ... კb7 21. ე:b4 f5!? 22. ეfb1 f4 23. ე:b7 ლa3!



24. ლc1! (თუ 24. ე:b8?, მაშინ 24. ... fe 25. ლe1 მ:b8—+) 24. ... ლ:e3 25. ლ:e3 f:e3 26. ე:b8 e:f2 27. მფf1!+— (თუ 27. მფ:f2, მაშინ 27. ... მ:b8 28. ე:b8 მf6!), 27. ... მ:b8 28. ე:b8 მf6 29. ეb7 ეd8 30. კb5 g5?

(g7 კუ საბოლოოდ ჩაიკეტა თავის პაიკებში), 31. მფ:f2 h5 32. h3 h:g4 33. h:g4 ეf8 34. მფe3 ეa8 35. კd7.

შავების კუსგან განსხვავებით, თეთრებისა მეტად აქტიურია. 35. ...მფh8 36. კf5 მe8 37. მფd3 კf6 38. მფc4, თეთრი მეფეც გაეშურა მტრის ბანაკისაკენ. 38. ... კd8 39. მფb5 მc7 40. მფc6 მფg8 41. მფ:d6 ე:a7 42. ე:a7 მb5 43. მფd7 მ:a7 44. მფ:d8. ციფანსკაია დანებდა.

საიმედო ცვლა

28 წლისაა ნიჭიერი ოსტატობის კანდიდატი (1990 წელს მოსკოვში ოსტატობის ნორმა შეასრულა) კახა შალამბერიძე. ჯერ კიდევ მოსწავლე, თბილისის 1984 წლის ქრისტეშობისთვეს ჩემპიონია ვაჟებში. კახა სენაკის „ეგრისის“ წევრია. რომელმაც შარშან ქრისტეშობისთვეს თბილისში საკლუბო გუნდებს შორის საქართველოს პირველ ჩემპიონატში გაიმარჯვა. გაზაფხულზე „ეგრისი“ ევროპის გუნდურ პირველობაზე დაიცავს საქართველოს სპორტულ ღირსებას.

შარშან ენკენისთვე-ღვინობისთვეში კახა შალამბერიძემ წარმატებით ისპარეზა ჩეხეთ-სლოვაკეთის საერთაშორისო ტურნირებში. ტრებიჩში (ჩეხეთი) II ადგილი, ხოლო ხრუდიმში (სლოვაკეთი) II-IV ადგილი გაინაწილა. გთავაზობთ უკრაინელ საერთაშორისო ოსტატ მონინთან გათამაშებულ მშვენიერ პარტიას.

მონინი — შალამბერიძე. მეფის გამბიტი. ტრებიჩი, 1992 წელი. ენკენისთვე. 1. e4 e5 2. f4 e:f4 3. მf3 მe7 4. d4 მg6 5. კc4 c5! (მივიწყებულ, არაპერსპექტიულად მიჩნეულ ვარიანტში შალამბერიძე კონტრთამაშის შექმნას ცდილობს. ბოლო სვლის აზრი შენიღბულია. თეთრებმა ან ცენტრი უნდა დათმონ, ან ითამაშონ 6. c3, მაშინ უკვე ველარ განხორციელდება მb1-c3-e2:f4. ბლეკბერთან, სტეინიცი 5. ... c6 6. მc3 სვლების შემდეგ იძულებული გახდა პასიურ დაცვაზე გადასულიყო). 6. c3 მc6 7. h4 (ახლა არ ვარგა 7. ... h5 8. მg5-ის გამო. შალამბერიძე ირჩევს რთულ, სარისკო გაგრძელებას) 7. c:d4 8. c:d4 d5! შავები აბრუნებენ ზედმეტ პაიკს მობილიზაციის დასაჩქარებლად. ეს თანამედროვე გაგება ფაქტობრივად პაულ მორფისაგან (1837-1884) მოედინება. თავის მხრივ, f4 პაიკი აბრკოლებს თეთრი ძალების განვითარება-გააქტიურებას. 9. კ:d5 კg4 10. ლb3 კb4 11. მc3 0-0 12. კ:c6 კ:c3 13. ლ:c3 ეc8! კონკრეტული თამაშის დასაწყისი. 14. h5 ე:c6 15. ლd3 კ:f3 16. ლ:f3 მh4!!



სწორედ ამ სვლის წყალობით შავები ინარჩუნებენ და ზრდიან კიდეც ინიციატივას. 17. ლf2 მ:g2! პრობლემის ბრწყინვალე გადაწყვეტა — მსხვერპლის გაღებით, ინიციატივა გადაიზარდა შეტევაში, ცენტრში დარჩენილ მეფეზე. როგორც ხედავთ, შეტევა უფრო კონკრეტული ყაიდის მცნებაა. შეტევა სტრატეგიის ფორმაა, რომელშიაც ტაქტიკა ყველაზე ძალუმად ამჟღავნებს თავის თავს. 18. ლ:g2 ლ:d4 19. კd2 (უარესია 19. კ:f4, ეe8-ის გამო) 19. ... ეe8 20. კc3 ე:e4 21. მფf1 ლd3 22. მფg1 ე:c3!! ეტლი ეწირება, რათა დრო არ დაიკარგოს. აქ, ერთი ტემპი უფრო მეტად ფასობს, ვიდრე ეტლი! ასეთი შეწირვა იშვიათობაა. 23. b:c3 ეe3! მონინი დანებდა.

ეთერშია საქართველო

უჩვენებს თბილისი

შაბათი

30 იანვარი

10.05 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა, 11.00 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „მარია მირაბელა“. 12.00 — მაცნე — საინფორმაციო პროგრამა, 12.10 — გამარჯობა, საქართველო! — საინფორმაციო-შემეცნებითი პროგრამა. 15.10 — ვესტნიკი — საინფორმაციო პროგრამა. 15.55 — ეს ომი ჩვენი მომავლისათვის ბრძოლაა — საქველმოქმედო საღამო. 16.55 — მაცნე — საინფორმაციო პროგრამა, 17.05 — წინა ხაზზე, 17.30 — ხელოვნების ლექტორიუმი, 18.00 — მღერიან ახალგაზრდები, 18.45 — კვალი, 19.45 — ბავშვებისათვის — ქართული მულტიპლიკაციური ფილმი, 19.55 — რეკლამა. 20.00 — მაცნე — საინფორმაციო პროგრამა, 20.40 — საუბრები ბიბლიაზე, 21.20 — ახალგაზრდა ლაურეატები — მუსიკალური გადაცემა, 22.00 — მაცნე — საინფორმაციო პროგრამა, 22.10 — ჩემპიონთა ტურნირი ფეხბურთში (ნახევარფინალი), 23.00 — ილუზიონი, 23.50 — ქვიშის საათი — საინფორმაციო პროგრამა, 24.00 — ილუზიონი (გაგრძელება).

კვირა

31 იანვარი

10.05 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა, 10.45 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „მარია მირაბელა ტრანზისტორიაში“, 11.55 — საკვირაო გამოფენა, 12.00 — მაცნე — საინფორმაციო პროგრამა, 12.10 — პრესტიჟ-შოუს კონკურსის ფინალი, I ნაწილი, 13.20 — საკვირაო გამოფენა, 13.25 — პრესტიჟ-შოუს კონკურსის ფინალი. II ნაწილი, 14.35 — საკვირაო გამოფენა, 14.40 — დოკუმენტური ფილმი „საქსონია“, 14.55 — კინომოზაიკა (განმეორებით), 15.55 — სიტყვა საქართველოზე, 17.00 — მაცნე — საინფორმაციო პროგრამა, 17.10 — ხალხური შემოქმედება — ჩანახატები, 17.30 — ნიკოლოზ სანიშვილი — დაბადების 90 წლისთავის გამო, 18.30 — კვირიდან კვირამდე — საერთაშორისო მიმოხილვა, 19.00 — მხატვრული ფილმი, 20.55 — რეკლამა, 21.00 — მსგეფსი — საინფორმაციო პროგრამა, 22.00 — ნაღდი შოუ, 22.15 — ჩვენი პრემიერა — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ანჩისხატობა“, 23.15 — თბილისის საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში. 23.50 — ქვიშის საათი — საინფორმაციო პროგრამა.

ორშაბათი

1 თებერვალი

7.30 — ალიონი — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა, 13.00 — ნაშუადღევს — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა, 17.00 — ვესტნიკი — საინფორმაციო პროგრამა, 17.15 — ბავშვებისათვის — ქართული მხატვრული ფილმი — „შვიდი პატარა მოთხრობა პირველ სიყვარულზე“ (რუსული ვარიანტი), 18.20 — განცხადებები, 18.25 — საინფორმაციო გამოშვება, 18.30 — ანძა — ტელემარკეტინგი, 18.40 — ხალხური შემოქმედება — ანსამბლ „მთიების“ კონცერტი, 19.10 — რამპა, 19.15 — ადამიანი და კანონი — სატელევიზიო პროგრამა, 19.45 — ბავშვებისათვის — ქართული მულტიპლიკაციური ფილმი, 19.55 — რეკლამა, 20.00 — მაცნე — საინფორმაციო პროგრამა, 20.35 — ჩემი „ვეფხისტყაოსანი“ (IV გადაცემა), 21.30 — საესტრადო კონცერტი, 22.00 — მაცნე — საინფორმაციო პროგრამა, 22.15 — მხატვრული ფილმი „გვიყვარდეს“. 23.40 — დოკუმენტური ფილმი, 23.50 — ქვიშის საათი — საინფორმაციო პროგრამა.

სამშაბათი

2 თებერვალი

1 რესპუბლიკური პროგრამის პროფილაქტიკა 9-დან 16 საათამდე, 7.30 — გამარჯობა, საქართველო! საინფორმაციო შემეცნებითი პროგრამა, 17.00 — მაცნე — საინფორმაციო პროგრამა, 17.15 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი, 18 55 — საინფორმაციო გამოშვება, 19.00 — ანძა — ტელემარკეტინგი, 19.10 — დოკუმენტური ფილმი. 19.45 — ბავშვებისათვის ქართული მულტიპლიკაციური ფილმი. 19.55 — რეკლამა. 20.00 — მაცნე — საინფორმაციო პროგრამა, 20.35 — კლუბი „კამერტონი“ — „დრიბლინგი“, 21.10 — მუსიკალური გადაცემა „ლეონარდ ბერნსტაინი“, 22.00 — მაცნე — საინფორმაციო პროგრამა, 22.15 — უცნობი კინოშედევრები — ფრანგული მხატვრული ფილმი „ზიზღი“, 23. 50 — ქვიშის საათი — საინფორმაციო პროგრამა.

თავდასხმა პოლიციის ქვეგანყოფილებაზე

როგორც სახელმწიფოს მეთაურის ოპერატიული საინფორმაციო სამსახური გვატყობინებს, 28 იანვარს 23 საათზე თბილისის რკინიგზის ცენტრალური სადგურის პოლიციის ქვეგანყოფილებას თავს დაესხა 20-მდე შეიარაღებული პიროვნება. მათგან ნაწილი სამხედრო ფორმაში იყო გამოწყობილი. მათ პოლიციის მუშაკებს მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა, დაარბიეს შენობა — დაცხრილეს სამუშაო პუნქტი და კედლები, გაიტაცეს სატაბელო იარაღი.

ტყუილების კონკურსი

შაბათ — ჰკითხა რიჟამ — იმდენი კონკურსი და ლატარია ტარდება, სათვალავი ამერია. ტყუილების კონკურსი არ უნდა მოეწყოს?

— მართლაც, — ძვერი დაკრა ბეჟუმ.

— ეგ კონკურსი დიდი ხანია მიმდინარეობს, თქვა შაბათამ.

— მაინც? — ჩაეკითხა ლანჟერონმა.

— სამოცდამეთხუთმეტე წელია! ჯერ ხომ კომუნისტებმა გვატყუეს, მერე ზვიადს მთავრობამ გვაცუცურაკა.

— ახლა?

— ახლა ორი გაზეთია მაგ კონკურსში გამარჯვების ღირსი... რა ჰქვიან?... „ბერიას ვეტრფი“ და ისა... „საფურთხელას სამრეკლაო“.

— აბა, რას ამბობ, შაბათ, — სიცილი აუტყდა წიწმატას, — „იბერია-სპექტრი“ და „საქართველოს სამრეკლო“ ჰქვიან.

— ტყუილებში მაინც „სამრეკლაომ“ მოუჭოკრა, — განაცხადა ფრანცამ, — ნახე, რაებსა წერენ: — ეკლესიები ცარიელიაო, წითელი ინტელიგენტები და სამღვდელოება საკუთარი ერის წინააღმდეგ იბრძვიან, ციხეები პოლიტპატიმრებითაა სავსეო...

— მაგალითად? — იკითხა რიჟამ.

— მაგალითად, გელბახიანი, წიკლაური, დოკვაძე...

— მოიცა, კაცო, იგინი ხო ტერორისტები არიან, ხილიანზე რო ხალხი დახოცეს!.

— შენ ტერორისტი უძახე, ეგ გაზეთი მაგათ მხურვალე მამულიშვილებადა თვლის...

— ვა, ბნელა?! — გაუკვირდა ბეჟუს.

— ზვიადა ფიზიკურად რო მოსპოთ, მის იდეებს ვერ მოსპობთო. საქართველოში ახლა ათასობით ზვიადააო...

— რაო?! — წამოხტა წიწმატა, — ჯერ ერთმა რა დღეში ჩაგვაგდო!...

— გამსახურდია მშვიდობიანი პოლიტიკური ფორმებით იბრძვისო... — ვა, ყვარლის ტყეებში ყვავილების საკრეფად იყვნენ კალათებით?

— საქართველო სრულ პოლიტიკურ იზოლაციაშია საერთაშორისო მასშტაბითო...

— სულ გაგიჟებულან, — სევდიანად თქვა შაბათამ.

— ჩოლოსდაბოლოს, ხალხმა გაიმარჯვა და შევარდნაძე მიდისო...

— მერე? ვინ მოდისო? — იკითხა ბეჟუმ.

— ზვიადა, ორშაბათს ბრუნდებაო!...

— ისე დაბრუნდა პაპაჩემი ქიტესა, — ამოიოხრა ლანჟერონმა.

— ეგ რა არი — ნახე, ზვიადას ცოლი რაებს არახუნებს — შარშან, ორ იანვარს, მე და ჩემს ბავშვებს, „კოლხურ კოშკში“, კიტოვანის გვარდია შემოგვერტყა და მთელი დღე ცეცხლს გვიშენდაო. მერე, 4 იანვარს, ყარყარაშვილის ბატალიონი შემოგვერტყა და დაგვბომბაო.

— სიზმარი უნახნია, — განმარტა წიწმატამ.

— კორესპონდენტი ეკითხება — ქ-ნო მანანა, ზვიადა რო დაბრუნდება და ტახტზე დაჯდება, თქვენს მტრებს მკაცრად გაუსწორდებითო?

— ორთავეს დაუფშტვენია!— დაასკვნა ლანჟერონმა.

— როგორ გეკადრებათო, ზვიადს და შურისგებაო?! ბატკანივით კაციაო, ბუნჩულა და უწყინარიო...

— საქართველო კი ბულკივით გახლიჩა და!... — თქვა წიწმატამ.

—არა, ამ ქალაბიჭა ნოვოდვორსკაიამ კი ნაღდად დახურა, რაებსა ბოდავს — ოპოზიციონერებს საკუთარი ბინების წინ ხოცავენ, აუპატიურებენ ოპოზიციონერ ქალებსა და მამაკაცებს...

— რაო?! კავკასიის რეგიონი შეშლილა...

— ტელეცენტრში შეიტყუეს საცოდავი ზვიადისტები და ამოხოცესო... მთავარი ტყუილი კი მაინც ეს არის — „საქართველოში ამჟამად ყველა ოპოზიციური გაზეთი დახურულია“..

— ნამუსი აღარ არი?— განცვიფრდა შაბათა, — ტყუილიც არი და ტყუილიც...

— სწორი ხარ, შაბათ, — უთხრა წიწმატამ, — მაგ გაზეთს ნაღდად „საფურთხელას სამრეკლაო“ უნდა ერქვას და ბოლმა — სიცრუის შავი ოსკარიც ეკუთვნის პრიზად.

— მოიტა ეგ გაზეთი, — შაბათამ ფრანცას გაზეთი გამოართვა და ბუხარში შეაგდო. — ჰაერს მაინც ვეღარ მოწამლავს.

ბუხრის მილიდან ამოსულმა ბოლმა უსიამოდ გააშავა ცისკიდური, მაგრამ მალე ოზონის ხვრელში გაუჩინარდა.

ბუნებამ შვებით ამოისუნთქა.

ამ დილით გაგონილი

ბაზარი.

— რა ღირს შენი ლიმონი?

— ასი მანეთი, ბიძაჩემო.

— ბიჭო, მე ლიმონი მინდა, „ლიმონკა“ კი არა!

— ბიჭო, რისი გაკეთება შეგიძლია?

— შემიძლია მიწა მოვთხარო.

— კიდევ რა შეგიძლია?

— შემიძლია არ მოვთხარო.


მანეთიანებს არ ვლოცულობ!

მხატვარი ჯემალ ლოლუა.

გასულ კვირას ავტობუსში დამრჩა ხელჩანთა. საზღვარგარეთის პასპორტის გარდა, ჩანთაში იყო ასი ათასი მანეთი, ხუთასთუმნიანი კუპიურებით, ათას ხუთასი დოლარი, სამი ოქროს ბეჭედი, პლატინის საყურეები და ვერცხლის სამკაული.

თუ ვინმემ ნახა, დამირეკოს ტელეფონზე 32-18-21. იკითხოს ნატო. მპოვნელი დასაჩუქრდება.

ორჯერ ჩაცმული, შავი ფერის „ინსპექტორების“ ფირმის ფეხსაცმელებს, ზომა 42, ვცვლი ოროთახიან იზოლირებულ ბინაზე. მახვევებს და გარეუბნებს ნუ შემომთავაზებთ.

ტელეფონი 21-05-05, იკითხეთ გოგი.

[illegible] ნ. ხუნწარიამ.

* * *

თბილისის ზოოპარკი აცხადებს კონკურსს აფრიკული სპილოს ვაკანტური ადგილის დასაკავებლად. კონკურსის მონაწილეებმა უნდა წარმოადგინონ 2 ცალი დამოწმებული ფოტოსურათი საკუთარი ხორთუმით. გამარჯვებული სპილო საკუთარ თავს თვითონვე უზრუნველყოფს საკვებით მახალით.

აზარის შაქრის ქარხანას სასწრაფოდ ესაჭიროება შაქარი.

ქიმიური ბოჭკოს ქარხანა შეიძენს ქიმიურ ბოჭკოს დიდი რაოდენობით.

* * *

იყიდება მფრინავი თეფშების სერვიზი და ჩრდილოეთის ნათება ნაღდი ანგარიშსწორებით, დიდი დათვის თანავარსკვლავედი — გადარიცხვით.

„ტაოკლარჯეთბანკი“.

კარგად დავიწყებული

განთქმული ფიზიოლოგი ივანე ბერიტაშვილი მორიგ ცდას ატარებდა. თავი შემოჰყო თანამშრომელმა.

— ივან სოლომონოვიჩ, ტელეფონზე გთხოვენ! ყურმილი, აიღეთ!

— ხო ხედამ, არა მცალია!..

— ვასილ პავლოვიჩია, ივან სოლომონოვიჩ!...

— ვინა?!

— მჟავანაძე!...

— მჟავანაძე? გისმენ, შვილო!...

საუბრის დამთავრების შემდეგ თანამშრომელმა უსაყვედურა, — ცეკას პირველი მდივანი როგორ არ იცით.

— აბა, მე მუსხელიშვილი ხო არა ვარ, ცეკას ყველა დირექტორი ზეპირად ვიცოდეო, — ჩაიფხუკუნა ბერიტაშვილმა.

შოთა ჩანტლაძე

სამი იგავი

ერთი ბრაკონიერი თევზის ჭერის დროს დააკავეს. რას მერჩითო, თავი იმართლა, თევზები დახრჩობას გადავარჩინეო.

* * *

ერთი ლომი ხაფანგში მოექცა. იგი მამაცურად იტანდა პატიმრობას. ამ დროს მასთან მივიდა კურდღელი და უთხრა: „ლომო, თავი არ მომჭრა, შენს თვალებზე კურცხალი არ დამანახოო“. ლომს თვალზე კურცხალი მოადგა.

* * *

ერთი მელია ისტორიაში შევიდა. მიიხედა-მოიხედა და ვერც ერთი ქათამი ვერ ნახა. ისტორიაში შესვლას საქათმეში შესვლა ჯობნებიაო, — თქვა წუწკმა მელიამ.

შაბათიზმები

◎ ყოველი ზალპით როდი იწყება რევოლუცია.
◎ არ შეიძლება უკბილო ტირანების გაცინება.
◎ ენციკლოპედიურად უვიცი კაცია, — თქვა ერთ გრაფომანზე შაბათამ.
◎ რკინის ადამიანი ვერასოდეს იგრძნობს ბორკილებს.
◎ იუდებმაც ისწავლეს ჯვრის ტარება.

შაბათას კონსულტაცია

— **შაბათ,** სულ თავიდან რა იყო? — ჰკითხა ერთხელ საშინლად ცნობისმოყვარე ბეჟუმ.

— თავდაპირველად იყო სიტყვა.

— მერე? — არ მოეშვა ბეჟუ.

— მერე წინადადება — სერიოზულად უპასუხა შაბათამ.

* * *

— შაბათ, უკვდავებისთვის რა არი მთავარი? — ჰკითხა ფრანცამ.

— სიკვდილი, — მშვიდად უპასუხა შაბათამ.

* * *

— შაბათ, აქვს თუ არა უფლება კაციჭამიას მის მიერ შეჭმული ხალხის სახელით ილაპარაკოს? — ჰკითხა წიწმატამ.

— თუკი ზვიადა ქართველი ხალხის სახელით ლაპარაკობს, რატომაც არა! — შაბათას მაგივრად უპასუხა ლანჟერონმა.

* * *

— შაბათ, ეშმაკებზე რას იტყვი? — ჰკითხა ბეჟუმ.

— ეშმაკი ჯოჯოხეთში დადებითი პერსონაჟია.

— ანგელოზები?

— ანგელოზები საიმედონი არ არიან.

— რატომ?

— იმდენად კეთილები არიან, რომ შეიძლება ეშმაკებად გადაქცევაზეც დათანხმდნენ.

* * *

— შაბათ, რა უნდა ქნან ხელფასის შემყურეებმა? თუ საჭმელში დახარჯავენ, შიშვლებმა უნდა იარონ, თუ ჩაიცმევენ — მშივრებმა — ჰკითხა ფრანცამ.

— ერთი თვე მშივრებმა იარონ, ერთიც — შიშვლებმა, — განუმარტა შაბათამ.



შაბათას დავალებით მისი პორტრეტი დახატა და კუთხე მოამზადა კლუბის სპიკერმა.

ლერი ჩანტლაძემ.

გილოცავთ, კოლეგებო!

თბილისის სპორტის სასახლეში დამთავრდა დედაქალაქის საახალწლო ჩემპიონატი მინი-ფეხბურთში.

გადამწყვეტი შეხვედრების შედეგები ასეთია: ფინალი: ჟურნალისტთა ნაკრები „ჩემპიონი“-„საბურთალო-2“ — 4:1. მატჩი მე-3-ე ადგილისათვის. „თუთარჩელა“-„ხომლი-90“ — 1:0.

ჩემპიონისა და პრიზიორების „ნადავლმა“ შესაბამისად 40 000, 25 000 და 15 000 მანეთი შეადგინა. სათანადო ფულადი ჯილდოებით აღინიშნა ტურნირის საუკეთესო მოთამაშეთა ოსტატობაც.

ნახევარი ქულაც და...

კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა მსოფლიოს საჭადრაკო ტახტისაკენ ინგლისელმა დიდოსტატმა ნაიჯელ შორტმა.

პრეტენდენტთა ფინალური მატჩის მეთორმეტე პარტია ესპანეთში მან 46-ე სვლაზე მოუგო ჰოლანდიელ იან ტიმანს და აღადგინა 2-ქულიანი უპირატესობა — 7:5.

შორტს დარჩენილ ორ პარტიაში ნახევარი ქულაც ჰყოფნის გარი კასპაროვთან შეხვედრის უფლების მოსაპოვებლად.

დარჩა 1 ტური

დასასრულს მიუახლოვდა თბილისის პირველობა ჭადრაკში ქალთა შორის.

უკანასკნელი ტურის წინ ლიდერთა სამეული ასე გამოიყურება: მაია ლომინეიშვილი — 7 ქულა, მაია გრიგალაშვილი — 6,5 ქულა, სოფიკო ტერელაძე — 6 ქულა.

I-III ადგილებზე გასული მოჭადრაკეები რესპუბლიკის მომავალი ჩემპიონატის ფინალში ითამაშებენ.

კურიეს მეტოქეა ედბერგი

მსოფლიოს პირველი ჩოგანი ვაჟთა შორის ამერიკელი ჯიმ კურიე ავსტრალიის ღია ჩემპიონატის ფინალში ითამაშებს. ეს უფლება მან მოიპოვა ნახევარფინალში გერმანელი მიხაელ შტიხის დამარცხებით.

კურიეს მოწინააღმდეგე გახდა შვედი სტეფან ედბერგი, რომელმაც მეორე ნახევარფინალურ წყვილში სძლია ამერიკელ პიტ სამპრასს.

მთავარი რედაქტორი ზურაბ გოგიაშვილი.

მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.